619
1994



# დილა

№ 4—5

ეროვნული
ბიბლიოთეკა






№ 4–5, აპრილი, მაისი
1994 (680)

# დროშა

ყოველთვიური სალიტერატურო
სამხატვრო ჟურნალი

დამფუძნებლები:
მწერალთა საერთაშორისო
გაერთიანება „პენკლუბის
ქართული ცენტრი" და
ჟურნალ-გაზეთების
გამომცემლობა „სამშობლო"



ინტერვიუ სამედიცინო ინსტიტუტის რექტორთან.

ნაკრძალმა რომ ინაკრძალოს.

ილია რურუა. გულდია ქალაქი (მოთხრობა).

ცივილიზაცია: რა არის იგი? ანუ ახალი სამყაროს რეალობანი.

ალფრედ დე მიუსე. მოგონება (ლექსი).

ნანა ღვინეფაძე. სათავე ახალი ლეგენდისა...

ტაკაკურა ტერუ. ღორის სიმღერა.

აკაკი გეწაძე. თეთრი ფიქრის აკიდო.

იური ვაჩნაძე. ჰოლივუდი — „მისი გუგულის ბუდეა".

ნუნუ მაღრაძე. იმედიანად გვევლოთ!

პანორამა.

კროსვორდი.




თბილისი
რესპუბლიკის მოედანი
26 მაისი, 1994 წ.

სარედაქციო კოლეგია:

ჯანსუღ ჩარკვიანი — თავმჯდომარე, ზულნარა ბახრაძე (პასუხისმგებელი მდივანი), აკაკი ბაქრაძე, ზახიდ ბებუტაძე, თედო ნინიძე, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ელდარ ფანცულაია, ზურაბ ჭერათელი, თამაზ ჩილაძე, ნოდარ ჯაბელიძე.

# მშვიდობისათვის. ჯანმრთელობისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა



**სიახლეები, პერსპექტივები, პრობლემები – აი ის ძირითადი საკითხები, რის შესახებაც გვესაუბრება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი რამაზ ხეცურიანი.**

— ბატონო რამაზ, სამედიცინო ინსტიტუტის რექტორობამდე თქვენ ამავე ინსტიტუტის სტუდენტობიდან და ასპირანტობიდან მოყოლებული თითქმის ყველა „იერარქიული“ საფეხური განვლეთ. ალტერნატიული არჩევნების შედეგად ინსტიტუტის ყოფილი პრორექტორი რექტორი გახდით. რა განცდა დაგეუფლათ, როცა იგრძენით, რომ თქვენს მიერ წარმართულ გზის სისწორეზე ბევრად იყო დამოკიდებული ინსტიტუტის ხვალინდელი დღე?

— იმ ჯარისკაცისაგან განსხვავებით, რომელიც გენერლობაზე ოცნებობს, რექტორობა ჩემი თვითმიზანი არასოდეს ყოფილა. მხოლოდ ერთს ვიტყვი, ჩემი მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე როგორც პედაგოგმა და ლექტორმა, ჩემი ყველა მოვალეობა პირნათლად შევასრულე. რექტორობა კი, ვფიქრობ, ჩვენი უნივერსიტეტის თანამშრომლების მიერ ჩემი საქმიანობის შეფასებასა და ჩემდამი ნდობის შედეგია. რა გრძნობა დამეუფლა მაშინ? პირველ რიგში უდიდესი პასუხისმგებლობის და სურვილი იმ ნდობის გამართლებისა, რომელიც ჩემმა კოლეგებმა, მთელმა კოლექტივმა მომანიჭა.

**— რა მემკვიდრეობა მიიღეთ, როგორც რექტორმა და რისი გაკეთება შეძელით ამ ორი წლის მანძილზე?**

— რაც შეეხება მემკვიდრეობას, კარგი იყო ის, თუ ცუდი, მეც ერთ-ერთი თანამონაწილე ვიყავი მისი შექმნისა, ამიტომ დადებითი თუ უარყოფითი მხარე სხვა ხელმძღვანელებთან ერთად მეც თანაბრად უნდა გავიზიარო. ერთი უარყოფითი მხარე მაინც უნდა გამოვყო — უზომოდ გაზრდილი სტუდენტთა კონტიგენტი, თუმცა ეს ინსტიტუტის მაშინდელი ხელმძღვანელობის სურვილი არ ყოფილა და არც მათ გადაუწყვეტიათ. შედეგებს კი უკვე ვიმკით და უფრო მწვავედ შევიგრძნობთ მომავალშიაც. ექიმობა ისეთი პროფესიაა, თუ მოწოდებით არა ხარ ექიმი, ისე არაფერი გამოგივა. მე მგონი ისიც შეცდომა იყო, ჩვენს ინსტიტუტში შემომსვლელები მათემატიკას რომ აბარებდნენ. ამას ზოგ შემთხვევაში კომაროვის სკოლადამთავრებულები თუ ახერხებდნენ. შედეგი? გვქონდა რამდენიმე შემთხვევა, როცა სტუდენტმა ვერ გაითავისა ექიმობის რთული პროფესია და იძულებული გახდა, სწავლა შეეწყვიტა.

აქვე დავსძენ, რომ მისაღებ გამოცდებზე მათემატიკის შეცვლა უცხო ენით ერთ-ერთ დადებით ფაქტორად მიმაჩნია. ჯერ ერთი, რომ ეს სტუდენტის საერთო განათლების დონეს ამაღლებს და გარდა ამისა, უცხო ენა საკონტაქტო ენაა ჩვენს უცხოელ კოლეგებთან, რომელთანაც ურთიერთობა დღითიდღე ფართოვდება და სულ უფრო ღრმა შინაარსს იძენს.

რისი გაკეთება შევძელი? შემიძლია გიპასუხოთ: როცა დღის წესრიგში დადგა სამედიცინო ინსტიტუტის უნივერსიტეტად გადაკეთების საკითხი, პირველ რიგში მოხდა ჩვენი სასწავლო პროგრამების ადაპტაცია საზღვარგარეთის სამედიცინო ინსტიტუტების სასწავლო პროგრამებთან. ე. ი. ცვლილება განიცადა მთელმა სასწავლო პროცესმა. ეს ცვლილება ძირითადად მოხდა I-III კურსის ჩათვლით.

შეიცვალა სასწავლო საგნების საათობრივი დატვირთვა. შემოღებულ იქნა რამდენიმე ახალი საგანი. ამჟამად პირველი კურსიდან იწყება კლინიკური დისციპლინა — ავადმყოფის მოვლა. ჩამოყალიბდა ლაზერული მკურნალობის ცენტრი და ისწავლება როგორც ქირურგიული, ასევე ლაზერო-თერაპიის მეთოდები.

ამ რეორგანიზაციაში მთავარია ის, რომ შეიცვალა სასწავლო პროგრამები; გაიხსნა ახალი ფაკულტეტი სამხედრო ექიმის სპეციალობით; თითქმის ყველა გადასაყვანი და სახელმწიფო გამოცდა ტარდება ტესტირების მეთოდით, რაც უდაოდ გამორიცხავს შეფასების არაობიექტურობას.

მისაღები გამოცდები ოთხივე საგანში წერითია და მაქსიმალური პირობებია შექმნილი აბიტურიენტთა ცოდნის გამოსავლენად.

მეტად მნიშვნელოვან ფაქტორად მიმაჩნია აგრეთვე, რომ შემცირდა სტუდენტთა მისაღები კონტიგენტი და თუ ის ადრე ათასებით განისაზღვრებოდა, დღეისათვის 280-მდეა დაყვანილი. ამას ემატება დაახლოებით ასი სტუდენტის მიღება ფასიან სექტორზე. დღეისათვის კი, ჩვენდა სამწუხაროდ, უნივერსიტეტში სტუდენტთა საერთო რაოდენობა ხუთიათას ექვსასს აღწევს.

**— ბატონო რამაზ, რას გვეტყოდით მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე?**

— ჩვენთან ამ მხრივაც ბევრი სიახლეა. რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით დაგვიბრუნდა ყოფილი სამედიცინო ინსტიტუტის სტომატოლოგიური პოლიკლინიკა აღმაშენებლის გამზირზე. მივიღეთ სასწავლო-სამედიცინო თვალსაჩინოების ახალი შევსება. მკვეთრად გამდიდრდა სამედიცინო ინსტიტუტის წიგნადი ფონდი. ემორის უნივერსიტეტიდან, რომელიც აშშ ქალაქ ატლანტაში მდებარეობს, ჩვენი ხელშეკრულების შესაბამისად, შემოტანილია 500-მდე დასახელების სახელმძღვანელო და სამედიცინო პერიოდული ჟურნალები. ამ დღეებში ჩვენი კოლეგები თავად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვესტუმრნენ და ჩამოგვიტანეს ორი კომპიუტერი, რომელიც თვითონვე დაამონტაჟეს, აგრეთვე ათასამდე წიგნი. კომპიუტერს თან ახლავს დისკები მსოფლიოში დღემდე არსებული ყველა სამედიცინო ინფორმაციით.

ამერიკელების ჩამოსვლას უსწრებდა ავსტრიელი კოლეგების სტუმრობა ქალაქ ინსბრუკიდან, რომლებმაც ორასი ათასი დოლარის ღირებულების მედიკამენტები ჩამოიტანეს ჩვენი ინსტიტუტის კლინიკისათვის. მათთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ინსბრუკის სამედიცინო ინსტიტუტში სტაჟირება გაიარა ჩვენმა ორმა დოცენტმა, ამჟამად მიემგზავრება ორი პროფესორი.

კონტაქტებს ვამყარებთ ინგლისთანაც. მათი საელჩოს დახმარებით უნივერსიტეტმა უკვე მიიღო ოცდასამი დასახელების მეტად საჭირო სახელმძღვანელო. ასევე, მოლაპარაკების საფუძველზე მივიღეთ ოთხასამდე დასახელების ვიდეოკასეტა მნიშვნელოვანი სამედიცინო ინფორმაციით გერმანიიდანაც. ამ ფაქტთან დაკავშირებით უდიდესი მადლიერების გრძნობით მინდა მოვიხსენიო ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი ბატონი ანზორ ერქომაიშვილი, რომლის დამსახურებაცაა აღნიშნული ვიდეოკასეტების მიღება.

**— როგორც ვიცით, თქვენი უნივერსიტეტის კონტაქტები საზღვარგარეთის სამედიცინო ინსტიტუტებთან სასწავლო თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია.**

— უთუოდ ასეა. ამჟამად აშშ ექვსი თვით სასწავლებლად იმყოფება ჩვენი ოთხი სტუდენტი. სექტემბრიდან კი ყოველწლიურად გაემგზავრება სამი პროფესორ-მასწავლებელი და რვა სტუდენტი.

ბოლო წელიწადნახევრის მანძილზე სხვადასხვა ხანგრძლივობით დაახლოებით ოცდახუთამდე სტუდენტი იყო მივლინებული საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყანაში: ისრაელში, იტალიაში, აშშ-ში, საფრანგეთში...

მოლაპარაკებას ვ ა წ ა რ მ ო ე ბ თ თურქეთთან და ირანთან. ირანთან მოლაპარაკებაში დიდი იმედი გვაქვს ჩვენი უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის პროფესორ ალი აკბარ ვილაიათის დახმარებისა.

შეთანხმებები ძირითადად სამი მიმართულებით იწარმოებს; პროფესორ-მასწავლებელთა და ექიმთა მოღვაწეობა, სტუდენტთა გაცვლები და ერთობლივი სამეცნიერო მუშაობა.

იმედი გვაქვს, წლის ბოლომდე ეს შეთანხმებები მიღწეული იქნება. ვფიქრობთ, მომავალი წლიდან მსგავსი ხელშეკრულებები გავაფორმოთ გერმანიასთან და საფრანგეთთან.

ჩვენს უნივერსიტეტში ამჟამად ორმოცამდე უცხოელი სტუდენტი სწავლობს. აქედან 25-მდე თურქია. არიან ინდოეთიდან, პაკისტანიდან, ირანიდან...

**— თქვენი საქმიანობა იმდენად რეალურია, ვფიქრობ, არც სამეცნიერო მუშაობა იქნება ყურადღების მიღმა დარჩენილი.**

— რა თქმა უნდა. უნივერსიტეტში ცენტრალური კლინიკური ლაბორატორიის ბაზაზე შეიქმნა ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის ინსტიტუტი პროფესორ გ. დუმბაძის ხელმძღვანელობით, რომელიც საკმაოდ მძლავრი მეცნიერული კერაა, აღჭურვილი სამედიცინო ტექნიკითა და ვივარიუმით. აქ თანამშრომლობს ყველა ჩვენი კათედრა.

მეორე წელია უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა კონფერენციები მიმდინარეობს კონკურსის წესით, რისთვისაც გამოყოფილია საპრემიო ფონდი.

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ბოლო ორ წელიწადში ჩვენი თანამშრომლების მიერ დაცულია ოცი სადოქტორო და სამოცდაათამდე საკანდიდატო დისერტაცია.

**— მეც და ალბათ მკითხველსაც გვრჩება შთაბეჭდილება, პრობლემები ან სულ არა გაქვთ ან კიდევ მინიმუმამდეა დაყვანილი.**

— არც მთლად ასეა. პრობლემები გვაქვს, მაგრამ ვცდილობთ, მალე მოვაგვაროთ. კერძოდ, მოუწესრიგებელია უნივერსიტეტის დაცვის საკითხი. ამჟამად ვფიქრობთ, ჩვენ თვითონ ჩამოვაყალიბოთ ჩვენი დაცვის სისტემა.

ჩვენს უნივერსიტეტს ურეკში აქვს დასასვენებელ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი. აუცილებელია, დღის წესრიგში დადგეს სამკურნალო კომპლექსის მშენებლობის საკითხი. თუ ეს პრობლემა გადაიჭრა, ურეკის ქვიშის სამკურნალო თვისებებით არამარტო ჩვენს ბავშვებს შევუქმნით მკურნალობის ნორმალურ პირობებს, არამედ ამ კომპლექსით არანაკლებ დაინტერესდებიან უცხოელი პაციენტებიც.

უნივერსიტეტში ჩვენი კოლეგების მიერ დამზადებული ჩვიდმეტი მედიკამენტიდან ოთხი არის რადიოპროტექტორული ჩაი, რომელიც მეტად ეფექტური საშუალებაა რადიოაქტიური ნივთიერებებით დაავადებულთა განსაკურნავად. ასეთი ჩაის დამზადებას სჭირდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ეს საშური საქმეც დროზე უნდა მოგვარდეს.

**— როგორია თქვენი უახლესი პერსპექტივები?**

— სამედიცინო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის პროცესი გრძელდება. უახლოეს მომავალში კიდევ ერთი ფაკულტეტის გახსნას ვვარაუდობთ. ეს იქნება მედიკობიოლოგიური ფაკულტეტი.

მინისტრთა კაბინეტმა მიიღო გადაწყვეტილება რესპუბლიკური საავადმყოფოს ჩვენს გამგებლობაში გადმოცემის თაობაზე. ამას მხარს უჭერს ჯანმრთელობის სამინისტროც. ამ საკითხის მოგვარება ეჭვს არ უნდა იწვევდეს, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ რესპუბლიკურ საავადმყოფოს ემსახურება სამედიცინო უნივერსიტეტის 17 კათედრა.

**— თქვენ დაწვრილებით ისაუბრეთ თქვენს უნივერსიტეტზე და ეს ბუნებრივიცაა, რადგან მასთან სისხლხორცეულად ხართ დაკავშირებული, თუმცა ვეჭვობ, რომ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რამაზ ხეცურიანი მარტო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორობითა და ლექციების კითხვით შემოიფარგლოს.**

— ვცდილობ, არც საზოგადოებრივ დატვირთვას ავარიდო თავი. არჩეული ვარ ევროპის პლაცენტოლოგთა ასოციაციისა და იაპონიის საერთაშორისო მიკროცირკულაციის საზოგადოების წევრად, ჩემი შრომები გამოვიდა ევროპის რამდენიმე ქვეყანაში. ამჟამად გამოსაშვებად მზადდება ჩემი სახელმძღვანელო. ვარ პარლამენტის განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის კომისიის წევრი.

**— თავისუფალი დრო თუ გრჩებათ?**

— ეს პრობლემა საერთოდ არ მაწუხებს.

**— რას გვეტყვით ოჯახზე?**

— მეუღლე — ნაირა ჭაბაშვილი ამავე უნივერსიტეტის ასისტენტია, ქალიშვილი მაია კი III კურსის სტუდენტი. ვაჟი ჯერჯერობით მოსწავლეა.

**— ბატონო რამაზ, თქვენი ყოველდღიური საქმიანობა და მომავლის პერსპექტივები, ვფიქრობ, ნათლად გამოიკვეთა. დიდი მადლობა გულითადი საუბრისათვის. იმედია, არც კეთილ სურვილებს დაიშურებთ ჩვენი მკითხველისათვის.**

— ჩემი დიდი სურვილია, ეს წელი მშვიდობის, ბედნიერებისა და ჯანმრთელობის საწინდარი ყოფილიყოს ყველა ჩვენგანისათვის და, რაც მთავარია, ნაკლებად დაგვჭირვებოდეთ ჩემი და ჩემი კოლეგა ექიმების სამსახური.

ესაუბრა **ნუნუ კუპრეიშვილი**

საქართველოს ეროვნული

# ქვეყნის სიმდიდრე

სახელმწიფო ნაკრძალები ქვეყნის სიმდიდრეა, უფრო მეტიც: იგი ჩვენი სამშობლოს სიმდიდრე და მშვენებაა. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ფლორისა და ფაუნის მიხედვით საქართველო ჩვენი პლანეტის ერთ-ერთი უნიკალური კუთხეა. ამიტომ ყველა ჩვენთაგანისათვის თავისთავად ცხადია, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო ნაკრძალების მოვლა-პატრონობას, მათ დაცვასა და მეცნიერულ შესწავლას.

ეს ინტერვიუც სწორედ ამ აქტუალურ პრობლემებს ეძღვნება საქართველოს რესპუბლიკის ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს უფროსთან ბატონ **რამაზ შიშნიაშვილთან.**

ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ბ-ნი რ. **შიშნიაშვილი**, პროფესიით მეტყევე-ინჟინერია. ექვსი წელი სათავეში ედგა საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალს, შემდეგი ექვსი წელი სწავლული მდივანი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბუნების დაცვის რესპუბლიკური კომისიისა, რომელსაც თავმჯდომარეობდა აკადემიკოსი ვასილ გულისაშვილი.

**— ბატონო რამაზ, რა არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, თქვენი სამმართველოს ძირითადი მიზანი და ამოცანები?**

— იგი მეტად კონკრეტული და ნათელია და ამ პრობლემებზე ძალიან ვრცლად შეიძლება საუბარი, მაგრამ შევეცდები მეტისმეტად ლაკონური ვიყო. ჩვენ ვანხორციელებთ ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო ნაკრძალებსა და სამონადირეო მეურნეობებში ფლორისა და ფაუნის, მათი ბუნებრივი კომპლექსების დაცვა-გამდიდრებას და აღდგენას; ასევე ვადგენთ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის თემატურ გეგმებს, რომლებშიც გათვალისწინებულია ეკოსისტემების ბუნებრივ შემადგენლობათა შენარჩუნება და კვლავწარმოება, მათში დარღვეული ბუნებრივი კავშირურთიერთობის აღდგენა-რეგულირება, ნაკრძალებში დაცული გენოფონდის აღრიცხვა-ინვენტარიზაცია, მათი მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესება, ბუნების დაცვასთან დაკავშირებული ყოველგვარი საკითხის გადაწყვეტა.

ცხოველთა სამყაროს გენოფონდის, განსაკუთრებით კი იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობების შესანარჩუნებლად, მათთვის ხელსაყრელი საარსებო პირობების — რეზერვაციების, აღკვეთილების შესაქმნელად და მათი კვლავწარმოების უზრუნველსაყოფად ჩვენი სამმართველო ატარებს საჭირო ბიოტექნიკურ და სხვა ღონისძიებებს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში, რესპუბლიკის ტერიტორიაზე კრძალავს ცალკეულ სახეობებზე ნადირობას. იკრძალება ნადირობა როგორც მთლიანად რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ისე ცალკეულ რაიონებში.

**— დღეისათვის რამდენი სახელმწიფო ნაკრძალია საქართველოში და ზოგადად რას იტყოდით მათზე?**

— ამჟამად საქართველოში თოთხმეტი სახელმწიფო ნაკრძალია, რომელთა საერთო ფართობი 168 ათას ჰექტარს შეადგენს. ეს კი მთელი რესპუბლიკის ტერიტორიის 2,4 პროცენტია, რაც საკმაოდ დიდი მაჩვენებელია.

**— სამაჩაბლოსა და აფხაზეთში რა მდგომარეობაა?**

— ეეეჰ, მეტისმეტად არასახარბიელო!.. ძმათაშორის ომმა ჩვენს ნაკრძალებსაც მიაყენა საგრძნობი ზიანი!.. სამაჩაბლოს ტერიტორიაზე 1977 წელს დაარსდა ლიახვის სახელმწიფო ნაკრძალი, რომლის დანიშნულება ცენტრალური კავკასიონის მაღალმთიანეთის ფლორისა და ფაუნის უნიკალური ბუნების დაცვა. ბავშვიც მიხვდება, რომ სამაჩაბლოში შეიარაღებული ჯგუფების თარეში ამ ნაკრძალსაც მიაყენებდა მნიშვნელოვან ზიანს. სწორედ ამან გვაიძულა თავის დროზე, რომ ნაკრძალის ადმინისტრაცია ცხინვალიდან გორში გადმოგვეყვანა.

ამჟამად ნაკრძალის დაცვა-კონტროლი ჩვენს მიერ ხორციელდება, ხოლო მისი მცირე, ჩრდილო-დასავლეთის მხარე ნაწილობრივ, შეიარაღებული ოსი ექსტრემისტების ხელშია.

რაც შეეხება აფხაზეთს, იქ სამი დიდებული ნაკრძალია. ბიჭვინთა-მიუსერის ნაკრძალი შეიქმნა 1966 წელს. მისი ძირითადი დანიშნულება ბიჭვინთის უნიკალური ფიჭვის, ლიძავის მუხნარის, ბზის ხეივნისა და მიუსერას ძვირფასი ტყის დაცვა.

1957 წელს დაარსებული რიწის ნაკრძალის ამოცანაა ამავე სახელწოდების ტბის მიმდებარე ტერიტორიის ფლორისა და ფაუნის დაცვა. საომარი მოქმედების გამო აღნიშნული ნაკრძალის შესახებ არავითარი ინფორმაცია არ მოგვეპოვება. ვიცით მხოლოდ ის, რომ იქ მომუშავე ქართველი სპეციალისტები პირწმინდად გამოაძევეს ნაკრძალის ტერიტორიიდან, ხოლო დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში ევგენი ხაჭაპურიძე საკუთარი სახლის ეზოში გამოიყვანეს და დახვრიტეს აფხაზმა ექსტრემისტებმა.

ფსხუ-გუმისთის ნაკრძალზე ხომ შეუძლებელია გულისტკივილის გარეშე ლაპარაკი, ვინაიდან სწორედ მის ტერიოტორიაზე გადიოდა ფრონტის ხაზი და ვინ იცის, რა მდგომარეობაში იქნება წლობით მოვლილი და ნალოლიავები ეს უნიკალური, ღვთიური კუთხე.

**— ცხადია, სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის გამწვავების კვალობაზე განსაკუთრებით ჭირს ნაკრძალების დაცვა.**

— რასაკვირველია, ჭირს! აქაც ბევრი რამის თქმა შეიძლება, მაგრამ ერთ მკაფიო მაგალითს მოვიყვან, რომელიც მეტად მრავალმეტყველი იქნება. საარსებო საშუალებათა მკვეთრმა დეფიციტმა, ცხადია, ჩვენი სფეროს მუშაკებსაც გაუძნელა ნორმალური მუშაობა. ამით კი ზოგიერთს ხელის მოთბობა სწადიან. ალბათ, სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ აჯამეთის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა ტყის უნებართვო ჭრას. წლეულს გაზაფხულზე ნაკრძალში მოჭრეს და ნაწილობრივ

გაზიდეს კიდეც ოცდათხუთმეტი ძირი მუხა.

აჯამეთის სახელმწიფო ნაკრძალში ტყის უკანონო ჭრა და სანაკრძალო რეჟიმის დარღვევა პირველი შემთხვევა არ იყო. თუმცა, აქ ისიც უნდა ითქვას: ნაკრძალი ტყის დაცვის მხრივ მეტად რთულ ობიექტს წარმოადგენს იმ მოსაზრებით, რომ მას ირგვლივ თოთხმეტი სოფელი აკრავს. მაგრამ მიუხედავად ჩვენი არაერთი გაფრთხილებისა, როგორც ჩანს, ნაკრძალის ხელმძღვანელობამ და ტყის დაცვის მუშაკებმა სათანადო დასკვნა ვერ გამოიტანეს — სანაკრძალო რეჟიმისა და ტყის წესების დარღვევის ფაქტებმა შემცირების ნაცვლად უფრო იმატა. ამიტომ, შედეგიც ლოგიკურია: ჩვენი სამმართველოს მიერ დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლდნენ აჯამეთის სახელმწიფო ნაკრძალის დირექტორი, მთავარი მეტყევე და სატყეოს უფროსი. უშუალო დამნაშავეთა საქმეს კი ბაღდათის რაიონული პროკურატურა იძიებს.

**— რას იტყოდით ბრაკონიერობაზე?**

— პირდაპირ გეტყვით: ბრაკონიერი რაღა ბრაკონიერი იქნება, თუ კი თვითონაც მოისვენებს და ჩვენც მოგვასვენებს. ასე, რომ სიფხიზლე მუდამ საჭიროა, მით უმეტეს დღეს, როცა უკიდურესობამდე მოიშალა სახელმწიფო დისციპლინა, ხალხში ამდენი ცეცხლსასროლი იარაღი დაგროვდა და საწვავისა თუ სხვა საჭირო საშუალებათა უქონლობის, ანდა მათი დაბალი ხარისხის გამო ერთობ ჭირს ტერიტორიების ოპერატიული შემოვლა და დათვალიერება-კონტროლი. ჩვენი მუშაკების სასახელოდ უნდა ითქვას — და იმედი მაქვს, ამას კვეხნაში არავინ ჩამითვლის, რომ თავიანთ მოვალეობას პირნათლად ართმევენ თავს და ხშირად, როგორც ეს ჩვენს მძიმე სამსახურს ახასიათებს, საკუთარ სიცოცხლესაც კი აგდებენ საფრთხეში. აი, ამის რამდენიმე მაგალითი. ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის მუშაკებმა დააკავეს ბრაკონიერთა ჯგუფი, რომელსაც კავკასიური კეთილშობილური ირემი ჰყავდა მოკლული. საქმე ორმხრივ სროლამდე მივიდა. ერთი ბრაკონიერი დაიჭრა. ამ ფაქტს პროკურატურა იძიებს.

ანალოგიური შემთხვევა ლაგოდეხის ნაკრძალშიც მოხდა. ჩვენმა მუშაკებმა სწორედ მაშინ აღმოაჩინეს და დააკავეს ბრაკონიერთა ჯგუფი, როცა მოკლულ ირემს ინაწილებდნენ ერთმანეთში. ბრაკონიერი თავისი ბუნებით უმოწყალო და დაუნდობელია. ამიტომ ვერც ამ შემთხვევამ ჩაიარა შეხლისა და სროლის გარეშე. მაგრამ ნაკრძალის მუშაკები არ შეშინდნენ მოძალადეების წინაშე: იარაღი და ნადავლი ჩამოართვეს, დამნაშავენი კი სამართალდამცავ ორგანოებს წარუდგინეს. მსურს ვისარგებლო შემთხვევით და აქვე გაგიზიაროთ ჩემი შეხედულება: ნაკრძალების დაცვის მუშაკთა რიცხვი ერთი სამადაც რომ გავზარდოთ და ისინი უახლესი ტექნიკით აღვჭურვოთ, ნადირ-ფრინველთა დაცვაში მაინც ვერ მივაღწევთ სასურველ შედეგს, თუ თვითონ მოსახლეობამ არ იგრძნო ბუნებისადმი სიყვარული, ცოდომადლიანი დამოკიდებულება ფლორისა და ფაუნის თითოეული წარმომადგენლისადმი.



**— ყველაზე მეტად რომელი სახეობის ნადირ-ფრინველია გადაშენების საშიშროების წინაშე?**

— აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ნიამორი, ქურციკი, ზოლებიანი აფთარი, ჯიქი... ფრინველებიდან შურთხი, მთის არწივი, დურუჯა, გნოლი...

**— როგორაა საქმე თქვენს სისტემაში მეცნიერული კადრების მხრივ?**

— თავისთავად ნაკრძალი მეცნიერული მუშაობის საუკეთესო ბაზაა, სადაც მეცნიერმუშაკებს უშუალოდ კვლევის ობიექტებთან აქვთ კონტაქტი. დღეისათვის საქართველოს სახელმწიფო ნაკრძალებში იღვწის ოცდასამი მეცნიერ-მუშაკი. აქედან ცხრა კაცი მეცნიერებათა კანდიდატია, ერთი კი მეცნიერებათა დოქტორი.

**— ყველაზე მეტად რა გაწუხებთ?**

— ჩვენს სისტემასაც აწუხებს ყველაფერი ის, რაც დაძაბულმა დრომ დაგვიმკვიდრა და რასაც, ალბათ, ყველა დაწესებულება და წარმოება განიცდის მეტ-ნაკლებად. ეს არის საწვავის დეფიციტი, შრომისა და სახელმწიფოებრივი დისციპლინის შესუსტებით წათამამებული ბრაკონიერობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაბალი დონე და ბევრი სხვა რამ.

ფლორისა და ფაუნის უფრო უკეთ დაცვის მიზნით საჭიროა ნაკრძალთა დაცვის მუშაკთა და ტყის მცველთა შტატების გაზრდა, მათი უზრუნველყოფა ტრანსპორტით. ასევე სასურველია მომავალში მათი აღჭურვა კავშირგაბმულობის თანამედროვე საშუალებებით — აქ რაცია მაქვს მხედველობაში.

უეჭველად უნდა აღინიშნოს ერთი მტკივნეული პრობლემა: ეს ეხება ლაგოდეხის ნაკრძალის მიმდებარე ტერიტორიას, საქმე ის გახლავთ, რომ ეს ნაკრძალი სამი რესპუბლიკის — საქართველოს, აზერბაიჯანის და დაღესტნის საზღვარზე მდებარეობს. ამ ნაკრძალში ნადირ-ფრინველთათვის ნორმალური პირობების შექმნას ასუსტებს შემდეგი გარემოება: აზერბაიჯანის და დაღესტნის მხრიდან ნაკრძალის მიმდებარე ტერიტორიები ალპურ საძოვრებად და სანადირო ადგილებად არის გადაქცეული. ამიტომ ჩვენი ნაკრძალის ტერიტორიიდან მეზობელ სანახებში გადასული ნადირ-ფრინველი ხშირად მონადირის ტყვიისა თუ ცხვრის ფარის ძაღლების მსხვერპლნი ხდებიან. კარგი იქნება, თუ კავკასიონის ქედის ამ რეგიონში სამივე რესპუბლიკის მიერ ერთობლივი ძალისხმევით მოწესრიგდება უნიკალური ფლორისა და ფაუნის დაცვის საქმე.

**— ხომ არა გაქვთ რაიმე კავშირი უცხო ქვეყნების კოლეგებთან?**

— ჩვენს სამმართველოს მჭიდრო კავშირი აქვს ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) წარმომადგენლებთან. მათთან ერთად ამჟამად ინტენსიურად ვმუშაობთ საქართველოში ეროვნული პარკების შექმნაზე.

**— გაფართოებას ხომ არ საჭიროებენ სახელმწიფო ნაკრძალები?**

— დიახ, საჭიროებენ და კიდეც ვაფართოვებთ. 1986 წელს 6730 ჰექტარით გაფართოვდა კინტრიშის ნაკრძალი. ასევე, იმავე წელს მოხდა ვაშლოვანის უნიკალური ნაკრძალის გაფართოება 3200 ჰექტარით მიმდებარე ტყეების ხარჯზე. 1987 წელს ყაზბეგის ნაკრძალიც გაიზარდა 4400 ჰექტარით. 830 ჰექტარით გაფართოვდა ალგეთის ნაკრძალი, რომელიც შექმნილია მცირე კავკასიონის ნაძვის გავრცელების უკიდურესი აღმოსავლეთის მიდამოებში...

არაერთჯერ დაისვა კოლხეთის ნაკრძალის გაფართოების საკითხი მდ. ფიჩორის სანაპიროს ტყეებსა და პალიასტომის უნიკალური ტბის ხარჯზე, მაგრამ მას გადაწყვეტა არ ეღირსა. ამ ტბაში ბინადრობს 40-მდე სახეობის თევზი, ბევრი მათგანი უკვე იშვიათი და გადაშენების პირასაა მისული. პალიასტომი და მისი მიდამოები წყალში მცურავ ფრინველთა გამოზამთრების ადგილია. იგი მსოფლიო მასშტაბით გადამფრენ ფრინველთა მნიშვნელოვანი თავშესაფარია, რაც უაღრესად დიდი ყურადღების ღირსია. პალიასტომისა და მისი მიდამოების ნაკრძალად გამოცხადება საგრძნობლად შეუწყობს ხელს ამ ტბის უნიკალური იხტიოფაუნის, ორნიტოფაუნისა და მიმდებარე ფართობთა იშვიათი მცენარეული საფარის დაცვას.

გარდა ამისა, პირველ რიგში უნდა მოგვარდეს ნაკრძალებთან მიმდებარე სუბალპური და ალპური ზონების ნაწილის ნაკრძალებთან შემოერთების საკითხიც. ასევე, აღსადგენია სანაკრძალო რეჟიმი პონტოს მუხის უნიკალურ კორომებში და ცისკარას (აჭამა) ყოფილი ნაკრძალის ტერიტორიაზე, რომელიც თავის დროზე უსაფუძვლოდ გააუქმეს.

და ბოლოს, მომავალში ახალი ნაკრძალების შექმნისას უეჭველად გათვალისწინებული უნდა იქნეს „წითელ წიგნში" შეტანილი იშვიათი სახეობების მაქსიმალური თავმოყრის ადგილები. ამ რეგიონებში დღემდე შემორჩენილია უნიკალური მცენარეული დაჯგუფებები, რომლებიც მოკლებულია სრულყოფილ დაცვას, რის გამოც რეალურად არსებობს მათი ძირფესვიანად მოსპობის საშიშროება.

უჩა, ბიჭი რომ ცხოვრობდა, ქალაქის ძველ უბანს ეკუთვნოდა. ქუჩას ვერც დაარქმევდით. ზედგამოჭრილ სახელს ატარებდა — „მრუდე შესახვევი". სანაპიროს გარდიგარდმო გაწოლილ, მოკირწყლულ ქუჩებს შორის გამომწვევად შემოჭრილი და მიღრეცილ-მოღრეცილი, კუზს მხოლოდ მეჩეთის ბოლოს ისწორებდა, ცოტაზე, მაგრამ იქვე, ნავსადგურის პირდაპირ, ღაფავდა სულს.

ბიჭის მამა ზოგჯერ წაიხუმრებდა: მაღალი ღმერთი ნამდვილად არ მაკლებს ყურადღებას, ისედაც მძიმე ხვედრის კაცს საცხოვრებლად მრუდე ჩიხი მარგუნაო. ამ მწარე ხუმრობას ერთხელ, სიტყვაზე, შეგონებაც მოაყოლა: გული მაინც არ უნდა გავიტეხოთ, შვილო. მთავარი ისაა, კაცმა ცხოვრებაში მრუდე გზით არ იაროსო...

ისე, ბიჭისათვის რომ გეკითხათ, ამ ციცქნა შესახვევს არც არაფერი ჰქონდა დასაწუნი. ერთმანეთისკენ ირიბად დაშვებული ორი ქუჩის შესაყართან სწორედ ის ქმნიდა სამკუთხა სკვერს, თუკი, საერთოდ, შეიძლებოდა ასე გეწოდებინა ნახევრად მოტიტვლებული, რამდენიმე გაქუცული ბუჩქის ამარა დარჩენილი, გამოუსადეგარი მიწის ნაჭრისათვის. მხოლოდ მოზრდილი, ტანდაკოჟრილი აკაცია შერჩენოდა მარტოხედ, რომლის ძირში სამკუთხად ერთმანეთზე გადანასკული ძელ-სკამები გაემართათ.

უბნის ბავშვები მთელი დღე აქ ჟივჟივებდნენ. ჭინჭის ბურთის დევნაში ქვებზე ფეხები რომ დაელეწებოდათ, რიკტაფელასა და ლახტის თამაშს მოყვებოდნენ, ერთმანეთის ზურგზე გადადიოდნენ „ბირთანა-ბირს"... ქალაქის მამებმა რამდენჯერმე სცადეს კიდეც აქაურობა ნამდვილი სკვერისათვის დაემსგავსებინათ, მაგრამ ონავრების თავაწყვეტილობასა და ჯლიგინს ვერცერთმა „კულტურულმა ნარგავმა" ვერ გაუძლო.

ისე გავდა, ეს უფროსებსაც აწყობდათ, რომლებიც საღამოს პირზე მთლიანად ეუფლებოდნენ აქაურობას. მთელი დღის ჯაფით დაღლილ-დაქანცულნი, თანდათან გამოლაგდებოდნენ სოროებივით ვიწრო, ჩახუთული სახელოსნოებიდან. უფრო ადრე მოსულნი ძელ-სკამებზე ჩამორიგდებოდნენ, შეგვიანებულნი კი დაბალფეხა სახარაზო სკამებს გამოიყოლიებდნენ ან სულაც ტყავის გაზინთულ ფეშტემლებს გაიფენდნენ მიწაზე და ზმორებ-ზმორებით გაიშოტებოდნენ ზედ... ჯერ დუნედ, ხამუშ-ხამუშ გადაუგდებდნენ ერთმანეთს სიტყვებს, მაგრამ დღის მანძილზე ქალაქში დაგროვილი ახალი ამბებისა და ჭორების ამოტივტივებით ლაპარაკის იშტაზე მოსულნი, თანდათან ყაყანზე გადადიოდნენ, შიგადაშიგ ანეკდოტებსა და ტლანქ ხუმრობებსაც ჩაურთავდნენ და იყო ერთი გაუთავებელი სიცილ-ხარხარი.

ყელი რომ გაუშრებოდათ, ოსტატები დუქან-სახელოსნოების მილაგებით გართულ შეგირდ ბიჭებს გასჭყივლებდნენ და ისინიც მოარბენინებდნენ საღამოსათვის გადანახულ მცირე ხორაგს, ღვინითა თუ შინნახადი არყით სავსე კვანტიანებს. მოლზე იშლებოდა უბრალო, მაგრამ ალალი და საამო პურ-მარილი. რამდენიმე ჭიქის შემდეგ წამოვიდოდა სიმღერები, მაგრამ რა სიმღერები!.. გამვლელ-გამომვლელნი ნაბიჯებს ანელებდნენ, გარეთ გამოეფინებოდნენ ქვის ყორეებიანი, ფორთოხლის, მუშმალის, ლაზური ლელვის ხეებითა და „ადესით" გადაბურული ეზოების ბინადარნიც.

გამოჩნდებოდნენ საღამოს ნამაზის შემდეგ პირდაპირ შუა ქუჩით მომავალი წითელფესკიანი, თეთრწვერა აჭარელი მოხუცებიც, ზურგსუკან დაწყობილ ხელებში მოქცეული ქარვის კრიალოსანთა მარცვლა-მარცვლით, დარბაისლური მასლაათით...

— სალამ-ალეიქუმ, უსტებო!..

— იცოცხლეთ, ეფენდი!..

— მობრძანდით!..

— თქვენ აქეთ, დაუთ-აღა!..

— ნუ წუხდებით!..

წუთიერად ჩამოვარდნილ სიჩუმეს მეგობრული არიფანის თავკაცი არღვევს:

— მამაპაპური წესით, თითო ჭიქას ხომ არ ინებებდით?.. არა, დალევას არ გაძალებთ. უბრალოდ, აკოცეთ.

— რაფრა იქნება მაგი, კარაკლისა-ეფენდი, რამაზანი გვაქვს.

— ნება თქვენია!..

ხანშესული, ცოცხალსახიანი, ულვაშებაწკვიტინებული ხელოსანი დაჟინებით მისჩერებია ერთ თანატოლ ფესკიანს და როგორც კი მის მზერას იჭერს, ხუმრობაგარეული ხმით მიმართავს:

— სახლიკაცო, იჯერე ხომ გული ლოცვით?!. მარა თლათ ალაჰს ნუ მიყიდი სულს!.. ხომ არ გავიწყდება, ბოლოქს გაღმა შენი თანამოგვარე ქრისტიანებიც რომ ვსახლობთ.

აქა-იქ მორიდებული სიცილი გაისმა. მაგრამ ფესკიანს ნაწყენობა არ შეეტყობია;

— კოწია-ჭო, ჩემი მუსლიმობა რატო მაშინ არ გაგონდება, როცა მთელი ჩემი ჯალაფი ხინო წმინდაში ადის და ჩვენი ძვლების საფლავებზე თქვენიანებთან ერთად ანთებენ ამ ბაღვის სიგრძე სანთლებს?

ბიჭმა იგრძნო, როგორ გადაუფურჩქნა ქოჩორი წითელფესკიანმა ალერსიანად. მორიდებულად ახედა და მოეჩვენა, სადღაც თითქოს ენახა კიდეც, ასეთი ლამაზსახიანი თეთრწვერა მო-

## ილია რურუა

# გულის ქალაქი

### მოთხრობა

ხუცი. — ჰო, როგორ არა, მშობლიურ სოფელში, საიდანაც ეს-ესაა ქალაქში ჩამოვიდა!

— ვისი ხარ, ბალღო... რა გვარისა? — კითხა მოხუცმა თბილი ხმით.

პასუხი დამორცხვებით მიუგო.

— ოჰო, ღმერთმა ყველაფერი კარგი გაგაგონოს, — ფესკიანმა ისევ გადაუსვა ხელი თავზე. — თქვენი კუთხის ხალხიც მრავლად ცხოვრობს ჩვენში... აგერ, ა, დაუთ-ეფენდი გვარად ფაღავა ბრძანდება... გვერდს კიდევ ქიქავა უმშვენებს, რესან-ეფენდი... აბა, ჩვენ ყველანი ერთი სისხლ-ხორცისანი ვართ... გეიზარდე კაი კაცი!..

თითქოს საკუთარი სახელის გაცხადებას ელოდაო, უხუცესმა აჭარელმაც ინება საუბარში ჩაბმა:

— სხვა, რა ამბებია დუნიაზე ახალი, უსტაბო?.. რაფრა მიგდით საქმეები?

— ვართ რა, დაუთ-ეფენდი, როგორც გაეწყობა ახლანდელ დროსა და ცხოვრებას, — მიუგო კოწიამ.

— კაი დაგემართოთ!.. კაცი ცხოვრებას უნდა შეეწყოს, აბა, რაი... ჭკვიანურად, თვარა მარტო გაჯიქება საქმეს წაახდენს. — მოხუცმა ისე გადახედა თავისიანებს, ეტყობოდა წასასვლელად უნდა აშლილიყვნენ, მაგრამ ამ დროს ვიღაცამ დაიძახა:

— ხუსეინა მეჩონგურე მობრძანდება აგერ!

მუშფაკის ორსართულიანი შენობის კუთხესთან, უკვე მოძალებულ ბინდში, თანდათან გამოიკვეთა ტანმაღალი, ბოხოხიანი კაცის ლანდი. მარცხენა ხელით ჩონგური მკერდზე მიეხუტებინა, მარჯვენაში მომარჯვებულ ჯოხს კი ფილაქანზე მოაკაკუნებდა და ფრთხილი, შეუმცდარად, ალღოიანი ნაბიჯებით მოემართებოდა ხალხისაკენ.

— ბიჭო, სერგო, სკამი! — გასძახა კოწიამ შეგირდს.

— სად დაგვეკარგე, ხუსიავ, ამდენი ხანი? — გაუბა საუბარი დაუთ-ეფენდიმ ახალმოსულს, როგორც კი იგი სკამზე კარგად მოკალათდა.

— ზემოურებთან გახლდით, ეფენდი, შუამთობაზე... გოდერძის გაღმა მხრიდანაც იყვნენ მრავლად... მერე იმათ გამიყვანეს ზარზმაში... იქაურებიც არ მომეშვნენ, ვარძიობასა და საფარობაზეც წავიჩონგურე...

— კაი გიქნია, ღმერთმა სიკეთე მოგცეს... აბა, როგორ!

ბიჭი გაკვირვებული მიჩერებოდა ბრმას, რომელიც საუბარში, დროდადრო, ისე შეახმიანებდა სიმებს გრძელი, მოქნილი თითებით, თითქოს საკრავმა თავისით გაიწკრიალაო... ვერაფრით გაეგო, ჩინდაკარგულ ადამიანს საერთოდ რა გულით უნდა ემღერა, მით უფრო, რანაირად უნდა მოევლო შორეული მხარეები, რომელთა არსებობა ბიჭმა დღეს გაიგო პირველად... უკვე ყურში ჩარჩენოდა უცხოდ მიმზიდველი, რაღაც იდუმალებით სავსე სახელები: ზარზმა... ვარძია... საფარა... თურმე, იქაც ჩვენებურები ცხოვრობენ... არა, ამაღამ ყველაფერს გამოკითხავს მამას... მამამ ხომ ყველაფერი იცის!..

საუბრით გულნაჯერებმა ბრმამ ფეხი ფეხზე გადაიდო, ჩონგური მოიმარჯვა, ყოველგვარი თხოვნის გარეშე სიმებს ჩამოკრა და საამო ხმით დაიწყო:

„დილა არის, ცა-ლაჟვარდი“...

ბიჭი ახლა იმან გააკვირვა, ბრმა მეჩონგურე განთიადს რომ უმღეროდა. ჩინდაკარგულს როდის უნდა ეხილა დილა, მზით განათებული ცა?!. ბიჭმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ამ ტანაღნაგი მოხუცის თვალებს სამუდამო უკუნი სიჭაბუკის ასაკში ჩამოეფარა, რომ გათენების სურათები, რომელთაც ესოდენ გრძნობიერი ხმით ადიდებდა, ცხოვრების ყველაზე ბედნიერი ხანიდან ჩარჩენოდა მეხსიერებაში... მიტომაც თუ ყოფნიდა სულის სიმხნევე, სიმღერით ეთქვა ადამიანებისათვის, თუ რაოდენ დიდებულია მზის სხივებით განათებული ქვეყანა, რაოდენ კარგია, როცა შენს ირგვლივ ყველაფერი მღერის და ციმციმებს, როცა ადამიანები ერთად არიან და ესმით ერთმანეთისა...

ეტყობოდა, მოხუც მეჩონგურეს იმ დრომდე, ვიდრე თვალებში წყვდიადი ჩაუდგებოდა, ბევრი რამის ნახვა-გაგონება მოესწრო, რადგან შემდეგ... უმღერა ვეფხის ტყავით შემოსილ შეყვარებულ რაინდს...

ვიღაც ოსმან ბიძიას, რომელიც სამშობლოს მტრებმა მუხლებზე ვერ დააჩოქეს...

უსამართლობის გამო ტყეში გავარდნილ ფირალს, რომელიც მოღალატის ტყვიამ გაიმეტა...

ხალხი სულგანაბული უსმენდა ბრმა მეჩონგურეს. ბოლოს, ეტყობა, დაიღალა, ჩონგური ძირს დაუშვა, მაგრამ კოწია შეეხვეწა:

— ხუსეინ ეფენდი, ბარემ „ცხრა მუშა და ოცი გამგეც“ გვიმღერე...

— სულ მე რაფრა ვიმღერო, — უწყინრად ჩაიცინა მეჩონგურემ, — პაწე თქვენ აამღერეთ ყელი!..

— მართალი ბრძანებაა!..

— კი, დასტურ ჩვენი ჯერია!..

— ვთქვათ, აბა!

— დაიწყე და აგყვებით!..

— „ხასანბეგურათი“ ხომ არ დაგვეწყო?

— რატომ მაინცდამაინც „ხასანბეგურა“? — შეფარული ნაწყენობით ჩაილაპარაკა რომელიღაც ფესკიანმა.

— ბატონი ბრძანდებით... აჭარული მგზავრული იყოს, აბა... გინდათ, გურული „შავი შაშვი ჩიოდა“...

— ერთიც ვთქვათ და მეორეც... მესამეც... ჩვენი ნება არ არის?!

ვარსკვლავებით მოჭედილ ცისკენ ლაღად ასრიალდა ჰანგი, რომელსაც ყველა შეწყობილად აყვა...

გულლია, სამოყვრო ზღვისპირა ქალაქს უკვე რული შეპარვია, მაგრამ სასიმღეროდ მომართული ყელი ჯერაც ღიად დარჩენია ძველ უბანში, სამი ქუჩის შესაყართან მიკუნცხულ პატარა სკვერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ცივილიზაცია რა არის იგი? ანუ ახალი სამყაროს რეალობანი

მე ვოცნებობ, თქვა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ თავის ერთ-ერთ საორშაბათო რადიოინტერვიუში, რომ საქართველო მიუახლოვდეს პოლიტიკური კულტურისა და აზროვნების ისეთ დონეს, როგორც ლიტვაშია და, რომელიც დემოკრატიის გზით მიმავალ ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში უნდა იყოს. ჩვენ კი ამ მხრივაც ძალიან ჩამოვრჩებითო.

ამ ხინამდვილის მიუხედავად, ჩვენში, სამწუხაროდ, სიტყვა „ცივილიზაცია" წამდაუწუმ გაისმის. მასზე მიგვითითებენ: პარლამენტის ტრიბუნიდან, ლექცია-საუბრებიდან და, თქვენ წარმოიდგინეთ, სურსათ-სანოვაგის შესაძენი გრძელი და ხანგრძლივი რიგებიდანაც კი. ჩვენ თქვენთან ერთად, პატივცემულო მკითხველო, ხშირად აღვნიშნავთ, რომ ძალიან ჩამოვრჩით ცივილიზებულ ქვეყნებს.

„ცივილიზაცია" ლათინური წარმოშობის ტერმინია და ვიწრო გაგებით მოქალაქეობრიობას ანუ სახელმწიფოებრიობას ნიშნავს. ჩვეულებრივი გაგებით კი იგი კულტურის სინონიმია და საზოგადოების მატერიალური და კულტურული განვითარების მაღალ დონეს (საფეხურს) გამოხატავს.

ცივილიზაცია ბარბაროსობის შემდგომდროინდელი პერიოდის ქმნილებაა. იგი წარმოიშვა მაშინ, როცა მოხდა შრომის დანაწილება, გაჩნდა საკუთრება და, ამგვარად, დაიწყო საქონელწარმოება. ეს პროცესი ახლაც გრძელდება. ამიტომ ძველ სამყაროსთან ანუ ანტიკურ ცივილიზაციასთან ერთად არსებობს და „მოქმედებს" ჩვენი დროის ანუ თანამედროვე ცივილიზაციაც.

კარგად არის ცნობილი კაცობრიობის კულტურის ისტორიაში ანტიკური სამყაროს ანუ საბერძნეთის, რომის და მათ ორბიტაში მყოფი კულტურების დიდი ცივილიზაციები. ისინი არსებობდნენ მრავალი საუკუნის განმავლობაში, კერძოდ, ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნემდე. ამ საკითხებზე არსებულ ლიტერატურულ წყაროებში ჰიპოთეზების დონეზეა მითითებული, რომ ქართველური ტომების ერთი ნაწილი კავკასიიდან ეგეიდაში (ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთი ნაწილი) გადასახლებულა დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის III-II ათწლეულთა მიჯნაზე და მონაწილეობა მიუღია წინაბერძნული მოსახლეობის ჩამოყალიბებაში.

ახლა ამგვარი მსჯელობა შორს წაგვიყვანს. თუმცა ის კი უნდა ითქვას, რომ ხსენებული კულტურების კანონზომიერებათა, ე. ი. სრული დემოკრატიის ცოდნის გარეშე ვერა და ვერ მივაღწევთ ადამიანის ყველაზე დიდ საწადელს — პიროვნულ თავისუფლებას. არადა ანტიკური სამყაროს ისტორია იმაზეც მიგვანიშნებს, რომ საზოგადოებრივი აზრი ყოველთვის კეთილგონივრული არ არის. ამის მაგალითია საუკუნოდ შერცხვენილი სასამართლოს მიერ დემოკრატიული წესით მიღებული „დადგენილება" ახლანდელი ღმერთების ქადაგებისა და ახალგაზრდობის გარყვნის ბრალდებით ბერძენი ფილოსოფოსისა და პედაგოგის სოკრატეს (ძვ. წ. 470-388) სიკვდილით დასჯის შესახებ.

ჩემი აზრით დღემდე გაუაზრებელია ათენის დიდი თანამედროვეების (პლატონი, არისტოტელე) უარყოფითი განწყობილებანი დემოკრატიის მიმართ. ამიტომ ანტიკური სამყაროს გამოცდილების მიხედვით, დემოკრატის მხოლოდ ის მოდელია გამართლებული, რომელიც სრულიად გამორიცხავს უგუნურებას, არაკეთილსაიმედო ხალხის ძალადობას. ახლა მეტად დიდია ამის საჭიროება. არადა როგორი მისაღებია სულ ახლახან (18. IX. 98) სოციალური კვლევის ცენტრის მიერ თბილისის მასშტაბით ჩატარებული სატელეფონო გამოკითხვის შედეგები, როცა ჩვენში არსებობს და ფუნქციონირებს ისეთი პარლამენტი, რომლის საქმიანობას უარყოფითად აფასებს გამოკითხულთა 61, 4 პროცენტი?!

ეროვნული ბიბლიოთეკა






ჩვენი აზრით, მეტად სარწმუნო და ღრმა შთაბეჭდილებას ტოვებს ბატონ ედუარდ შევარდნაძის სიტყვები, რომელიც მან წარმოთქვა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადადგომის წუთებში: — ჩემი აქ ჩამოსვლა (იგულისხმება სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე ყოფნა — ქ. ე.) შეცდომა იყო, მაგრამ მე, როგორც ქართველმა, ამ ქვეყანაში გაზრდილმა, ვერ შევძელი არ გადამედგა ეს ნაბიჯი. ვიცი, რომ დინების საწინააღმდეგოდ მივდივარ, მაგრამ უნდა გადავარჩინოთ ქვეყანა. დღეს ასე დგას საკითხი, უკანდასახევი გზა არ არის. ჩვენში, სამწუხაროდ, პოლიტიკოსობა მეჭკვიდრეობა და ძნელად წარმოუდგენია კაცს, რომ წავიდეს თანამდებობიდან, პოლიტიკიდან და იცხოვროს ჩვეულებრივი ცხოვრებით და არ ფიქრობდეს ახალ შეთქმულებებსა და გადატრიალებებზე. ალბათ, ესეც მოსახდელი სენია, და ეს ეტაპიც უნდა გავიაროთ. ჩვენ მაღალგანვითარებული და მაღალკულტურული ერი ვართ, მაგრამ პოლიტიკაში ზანდახან დიდ უმეცრებასა და სიბნელეს ვავლენთ... გვინდა თუ არა, თუ კაცი ერთხელ მოვა თანამდებობაზე და ამბიციები გაუჩნდა, მერე მას მიაჩნია, რომ იგი საშვილიშვილოდ უნდა დარჩეს. არ შეიძლება ცალკეულ მოღვაწეთა ამბიციების მსხვერპლად ვაქციოთ ქვეყნის ინტერესები. ეს ყოფილსაც ეხება, დღევანდელსაც და მომავალსაც; ყველამ უნდა გაიაზროს ეს და შეისწავლოს განვითარებულ ქვეყნებში არსებული პოლიტიკა.

დიახაც, ასე უნდა. ამას მოითხოვს თავად ცივილიზაცია ანუ ახალი სამყაროს რეალობანი.

დღევანდელმა საქართველომ „დაიწია" განვითარებადი ქვეყნის დონეზე, სადაც მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავალი 200 დოლარიც არ არის,

და მაინც, როცა ცივილიზაციაზე ვლაპარაკობთ, უნდა გავითვალისწინოთ ახალი სამყაროს რეალობანი, უპირველეს ყოვლისა საერთაშორისო ურთიერთობის გაუმჯობესების პროცესი, ის, თუ როგორი იქნება ჩვენი უომო ან უიარაღო მსოფლიო ხვალ და ზეგ. თუმცა ამ კითხვაზე ძნელია პასუხის გაცემა, ვინაიდან პოლიტიკაში ჯერ ვერ მიგვიღწევია ისეთი მეტ-ნაკლებად ზუსტი პროგნოზისათვის, როდესაც ასე თუ ისე ახერხებენ ამინდის წინასწარმეტყველებას. ამიტომ ჯერ კიდევ შორსა ვართ ნატვრის სუფრისა და თაფლის მდინარეებისაგან. გამგეობისა ან თვითმოწყობის საკითხები ვერ გადაჭრეს, დღითიდღე უკან მიდიან, შიმშილობენ და ლატაკდებიან. ამიტომ, ჩვენ, ჯერ უნდა „გავიდეთ", მერე კი ფეხაწყობით ვიაროთ ცივილიზაციის გზით.

თუმცა ვითვალისწინებთ რა ახალი სამყაროს რეალობებს, საკმაოდ წინა ვართ წასული პერიოდების ცივილიზაციისაგან, რადგან: ჯერ ერთი, ახლა თითქმის ყველას ერთნაირად სწამს, რომ ბირთვული ომი თვითმკვლელობაა. ჩვენს დროში აღარ არსებობს გამამართლებელი საბაბი სხვა ხალხების წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენებისათვის; მეორე, სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს უნივერსალური პოლიტიკური რეცეპტების, მესიური დოგმებისა და იდეოლოგიური ჯვაროსნული ლაშქრობების ხანა. სრულიად მიუღებელი ან ყავლგასულია იმპერიული პოლიტიკა; მესამე, ირკვევა, რომ ხალხთა ურთიერთდამოკიდებულების ჯაჭვი ერთი ან ორი რგოლისაგან არ შედგება, ამიტომ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს, რომლებსაც მსოფლიოს ერთ კუთხეში იღებენ, შეუძლიათ სრულიად მოულოდნელი ეფექტი გამოიწვიონ მეორე კუთხეში, ხოლო ეკონომიკური სანქციები და ემბარგო, ბუმერანგის მსგავსად, მათ ინიციატორებს მიუბრუნდეთ; მეოთხე, თანამედროვე ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში საშინაო განვითარების ამოცანების გადაწყვეტა შეუძლებელია გარე სამყაროსაგან იზოლირებულად, კარჩაკეტილად. მეტიც, „საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოებრივი მართვის პრობლემებმა მიიღეს კომპლექსური, არსებითად ინტერდისციპლინარული (ხაზი ჩემია — ქ. ე.) და უნიკალური ხასიათი". (ე. შევარდნაძე); მეხუთე, ქვეყნები ერთმანეთს ეჯიბრებიან საზოგადოების უფრო მიმზიდველი „მოდელის" შექმნაში, პიროვნების თვითრეალიზაციის საუკეთესო პირობების უზრუნველყოფაში, ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტაში.

ჩვენი სამყაროს ახალი რეალობანი იმაზეც მიგვანიშნებს, რომ დრო პოლიტიკის ყველაზე ფასეული საქონელი და საუკეთესო შანსია. იგი ხელიდან არ უნდა გავუშვათ. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ის, რის გაკეთებაც დღეს შეიძლება, დღესვე უნდა გაკეთდეს.

ამასთან კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ქვეყანა, სადაც კორუფცია არნახულ აყვავებას აღწევს, სადაც მოურიდებლად და შეუზღუდავად ბატონობს ქრთამი, მოტყუება, ქურდობა და ბანდიტიზმი, სადაც არ არსებობს ძალა, რომელიც მათ და სხვა მანკიერებებს აღუდგება და მოსპობს, არ შეიძლება ცივილიზებული იყოს.

მეტიც, პიროვნება, რომელიც მოყიყინე ბაქიბუქითა და მოდური ფრაზებით პროფესიონალობს, რომელიც ეგოიზმითა და შურის გრძნობით არის შეპყრობილი, ცივილიზებული ვერ იქნება.

დასკვნა: ის ქვეყნები, რომლებმაც საკუთარი მართვა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ალფრედ დე მიუსე

ეს პაწია წიგნი მამაჩემს ედო საწერ მაგიდასთან ახლოს, თაროზე, განცალკავებით, რაც თავი მახსოვს. მამას მეგობრები რომ მოდიოდნენ ჩვენთან, აუცილებლად შეავლებდნენ ხოლმე თვალს ამ წიგნს, გადმოიღებდნენ, ხელში დაიჭერდნენ, გადაფურცლავდნენ და სინანულით გადააქანებდნენ ხოლმე თავს. იდუმალებით იყო მოცული ჩემთვის ეს წიგნი: ერთი, რომ ძალიან ლამაზად, უცნაურად ლამაზად გამოიყურებოდა, მეორე, რომ ჩემთვის სრულიად უცხო და უცნობი ასოებით იყო ნაწერი და მესამეც იმიტომ ალბათ, რომ მამას მეგობრები, ამ წიგნს რომ გადმოიღებდნენ ხოლმე, აუცილებლად ყოველთვის ვიღაც მითიურ „საშას“ ახსენებდნენ და იხსენებდნენ. ერთადერთი, რაც ჩემთვისაც ასე თუ ისე გასაგები იყო ამ წიგნში, მის ზედა კუთხეში, თავფურცელზე გაკეთებული ქართული წარწერა გახლდათ: „ალ. ლორდელი. ქ. პარიზი. 1926 წ.“.

ალექსანდრე (საშა) ლორდელი — ყოფილა ერთი ასეთი პოეტი საქართველოში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას გაჰყოლია ემიგრაციაში და მერე ორჯერ შემოსულა საქართველოში — ერთხელ, როგორც მართლა „ემისარი“ და გაბრუნებულა ისევ უკან, მეორედ კი — უკვე სამუდამოდ და არავითარი „ძირგამომთხრელი“ მუშაობა არა ხდებია ამჯერად გუნებაში, მაგრამ აი, სწორედ ამ მეორედ ჩამოსვლის დროს დაუჭერიათ. გაქცევა უცდია, გაქცეულა კიდეც, მაგრამ საზღვარზე გადასვლას რომ აპირებდა, იქვე, ადგილზე მოუკლავთ, თუ მერე, კაცმა არ იცის. ოჯახი დარჩენია აქ — ცოლი და ერთი შვილი, თბილისი დაუტოვებიათ ამ ამბის მერე, მამას უძებნია, მაგრამ ველარსად მიუგნია იმათი ასავალ-დასავალი...

მამაჩემის თაობის ადამიანებს, ზოგს უკვე შეუსრულდა დაბადებიდან ასი წელი, ზოგსაც დღეს თუ ხვალ შეუსრულდება — მათ შორისაა ქართველი პოეტი, ალექსანდრე ლორდელი, რომელსაც 1926 წელს ქ. პარიზში უყიდია დიდი ფრანგი პოეტის, ალფრედ დე მიუსეს ყველაზე ცნობილი ლექსების ეს პაწია კრებული, საიდანაც მე აი, ახლაღა ვთარგმნე მისი ეს საქვეყნოდ ცნობილი შედევრი — „მოგონება“ — და არ შემეძლო, ეს მოგონება არ წამემძღვარებინა ამ თარგმანისათვის.

მამუკა ცეცხლაძე

იმედი მქონდა, ვიტირებდი, მაგრამ მეგონა,
ტანჯვას მომგვრიდა შენი ნახვა, წმინდა ადგილო —
ტკბილო სამარხო უადგილო, მაგრამ ნამდვილო! —
სადაც დამარხულ არს მოგონება!

რით იყო მაინც საშიშარი ეს სიმარტოვე,
ვინ გამრიყავდა, ან მე თვითონ ვის გავრიყავდი?
განათუ, ჩემო მეგობრებო, მე თქვენ დაგტოვეთ,
ბედს ისევ ძველი გზით რომ მივყავდი?

აი, აქ არის ყოველივე — მდელოც, კორდებიც,
სოველ სილაზე კვალი კვალში გადაკლაკნილი,
აქ შევეყრებით კვლავ ერთმანეთს და აქ ვშორდებით,
მკლავი მკლავშია აქ კვლავ გაყრილი!

აქ არის ყველა მარადმწვანე ნაძვი და ფიჭვი,
ჩემი მაცდური გულგრილობაც ყველა აქ არის,
ამ მეგობართა ანტიკური ფიქრი და იჭვი
მე მარწევს ახლა როგორც აკვანი!

ყურს რომ მოჰკრავენ ეს ბუჩქები ფეხის ხმას ჩემსას,
ჩემს წარსულსააჟღურტულებენ თავგამოდებით —
ამ სავანეში ჩემ საყვარელს უყვარდა შესვლა,
თქვენც აქვე ხომ არ დამელოდებით?

დაე, იდინოს, დე, დამატკბოს (და მასათუთოს,
დაჭრილ გულს ვერცრა გაამთელებს ამ ცრემლის გარდა,
ნუ მომწმენდთ ცრემლებს თვალებიდან, შერჩეს ქუთუთოს,
როგორც წარსულის მჭვირვალი ფარდა!

არც არას ვნანობ სინანულის ამაოებით —
ამ ხეთა ექო მოწამეა, რაც იყო, იმის! —
ო, ამაყია ეს ტყე მშვიდი სალამოებით,
არც ჩემი გული არ იშლის ღიმილს!

ამოხდეს ოხვრა — რაა მერე? — როგორც მისანი
თუკი ეს გული სჭვრეტს საყვარლის წმინდა სამარეს!
აქ არ ხარობენ ყვავილები სამარისანი,
წარსული სუფევს აქ დღე-ცისმარე!

გახედე, მთვარე ამომაღლდა ღრუბელთა ზედა!
კრთომაა, ღამის დედოფალო, შენი მისებრი —
გამოეყოფი დასალიერს ბოლოს და გხედავ,
თანდათანობით როგორ ივსები!

ვით მიწა, ოდეს დაადგება მთვარის ნათელი,
გამოსცემს სურნელს მთელი დღისას, ისე ეს გული
გაამხელს იმას, რაიც იყო არგასამხელი —
სუფთაა გული აჩუყებული!

სად გაქრა, მიწყივ თანამდევი ჩემი ნაღველი?
შორს არის ახლა, დამაბერა რამაც მე მაშინ;
სიშორის ამის შევიქენი ოდეს მნახველი,
მივუახლოვდი და გავხდი ბავშვი!

ო, დროის ძლევამოსილებავ, მსუბუქო წლებო,
თქვენ მიგაქვთ ჩვენი სინანული, ცრემლი და აღთქმა,
მაგრამ დამჭკნარი ყვავილები თქვენც გებრალებათ
და არასოდეს ფეხს არ დაადგამთ!

ო, სიკეთეო, ნუგეშინისმგვრელო, ეს გული
შენ გლოცავს ისევ, შენ კვალზეა ისევ მარები —
შენგნით დაჭრილი, დადაგული, შენგნით მოკლული,
შენგნითვე მტკბარი ნაიარევით!

შორს არის ჩემგან ფუჭი სიტყვა, ფიქრები მჩატე,
უხამს ტკივილთა საფარველი, ანუ სუდარა —
წარსულ სიყვარულს ფუჭ სიტყვებში იგი ჩაატევს,
ვისაც რომ გულით არა სურდა რა!

რამ გათქმევინა, დიდო დანტევ, რომ სიგლახეა,
ბედკრულს თუ გახსოვს, ბედნიერი როდის იყავი?
რა ჭიამ დაგხრა, რომ, ბედკრულმა თავად, ამხელა
უბედურება შეურაცხყავი?

თუ ჩამობნელდა, არ არსებობს მიტომ ნათელი?
გადავივიწყოთ დღის სინათლე, როცაა ღამე?
მარადიული მწუხარების დიდო სანთელო,
ნუთუ შენა სთქვი ასეთი რამე?

არა, წმინდაა იგი ცეცხლი, მე რომ მინათებს,
ამპარტავნობა მე ამ გულის, არა, არ მჯერა —
ბედნიერება თავისთავად არის სიმართლე,
ხსოვნა იმისი მეტია ბევრად!

რა? ბედდამწვარი ნაღვერდალში ოდეს თვალს მოჰკრავს
ნაპერწკალს მცირეს და მთვლემარე კაეშანს თვისას
სულს შეუბერავს სასოებით, ვინძლო გამოჰკრას
ხელი ცხოვრების დაკარგულ მიზანს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდეს დაყვინთავს მისი სული წარსულში ისე,
როგორც დაბზარულ სარკეებში ტყდება ოცნება,
შენ ეუბნები, რომ სიხარულს ვერ შეილირსებს
და უეჭველად ტყუილა მოცდება?

მერედა ამას ვისი პირით ამბობ? ფრანჩესკას —
ამპარტავნობის ანგელოზის — პირით, რომელიც
ნაცვლად იმისა, რომ საყვარელს გულში ჩაეკრას,
მარადი კოცნის არის მკობელი!

ვით დაილოცოს სამართალი შენი ო, ღმერთო,
თუ სიხარულიც ტყუილია, ტკივილის განცდაც?
ჭეშმარიტება რაღა არის მაშინ საერთოდ,
თუ ამაოა გულისთქმა კაცთა?

უმსგავსოებო, როგორ ცხოვრობთ ისე, რომ მუდამ
იცინით, მღერით, უგზო-უკვლოდ დაიარებით,
არ მიგაჩნიათ ცა და მიწა იმად, რომ თუნდაც
ერთხელ შეხედოთ მოიარებით?!

მაგრამ როდესაც შეგახვედრებთ ბედი შემთხვევით,
ვით წარსულის ძეგლს, დავიწყებულ სიყვარულს გამქრალს,
ამ დაბრკოლების გეშინიათ და არ ემთხვევით,
დაბნეულებმა არ იცით, რა ჰქნათ!

ამ დროს გაჰყვირით, რომ ცხოვრება სიზმარი არი,
მოიფათურებთ ტანზე ხელებს, ვინძლო არ მოკვდეთ
და აღარა აქვს რისხვას მერე თქვენსას საზღვარი,
ტყუილი ესე როა ხანმოკლე!

საწყლებო, თქვენმა გაყინულმა სულმა ცხოველმა
ოდეს გალუნა იგი რკინა, ფეხზე რომ გადევთ,
ის წამი იყო სწორედ მთელი თქვენი ცხოვრება,
იმ წამს ნურასდროს ნუ შეიცხადებთ!

თქვენ შეიცხადეთ მიწიერი თქვენი საყრდენი,
სისხლი და ლაფი რომ ამოგდით ყელში მზვაობართ,
უიმედობის ღამეები, უდღეო დღენი —
აი, ეს არის არარაობა!

ცივი გონებით რას მოიმკით? რას ემართლებით
ზეცას ამ თქვენი ფუქსავატი სინანულებით?
რამ გაალივოს სინანულის ხნულში მარცვლები,
თუ თქვენ ხართ თვითონ გადახნულები?

კი — კვდება ყველა; ეს ცხოვრება არის სიზმარი
და სულ პაწია, ერთი ციცქნა ბედნიერება;
ვით ლერწმის ღეროს, გამოგვტაცებს იმასაც ქარი —
ქარი ო, ქარი ყველას გვერევა!

კი — პირველ კოცნის, რა თქმა უნდა, სხვაა გარემო —
სადღაც ხის ძირში გამთლიანდა ორი სხეული;
ხე ფოთლებისგან განძარცვული იყო ქარებით
და ტინზე მტვერში ჩნდა გახვეული!

მოწამეობა ამ უდღეურ სიხარულისა
შესთხოვეს ორთა პირბადიან ზეცას ცვალებადს,
კენტნი ვარსკვლავნი მერე იმან გააგულისა,
თუ ვით დაჩრდილეს წყვილთა თვალებმა!

ხელში ყვავილი აჭკნებოდათ, ძირს ეგდო ჩიტი —
კვდებოდა ირგვლივ ყოველივე თანდათანობით;
შრებოდა წყაროც, სადაც მათი ხატება მშვიდი
ირეკლებოდა ერთ დროს განცხრომით!

თიხის ხელები იავარქმნილ მიწაზე ოდეს
ერთურთს ჩაჰკიდეს ელვის შუქზე, ასე განსაჯეს —
ქვას ვით იქნება ჩვენ ვხმობდეთო, ან ჩვენ რომ გვხმობდეს
ქვა, მიწყივ სიკვდილს რომ უდარაჯებს!

პოეტი იტყვის — „ბედნიერი!“ ბრძენი — „შეშლილი!“
რა დარდუბალა გიდევთ გულში ასეთი მწუთხე,
რომ წყლის დინებაც თქვენ გაწუხებთ, ქარიც ხელს გიშლით,
რა გიყვართ ნეტა, ასე რომ უფრთხით?

ამ მზისქვეშეთში მე მინახავს მრავალი რამის
ცვენა და ვარდნა ფოთლების და წყლის ქაფის გარდა,
ვარდის სურნელის გარდა კიდევ ბევრი სიამე
განქარდა უკვე, უკვალოდ გაქრა!

მინახავს უფრო შემზარავიც ბევრი სხვა რამე,
ვიდრეა მკვდარი ჯულიეტას ტურფა სახება
და სადღეგრძელო რომეოსი, ოდეს წკვარამის
ანგელოზს გულით გაეზრახება!

მე ვნახე ჩემი ვისაც ერქვა, უნდა რქმეოდა,
ის თავად იყო უკვე კუბო გადაპენტილი
და სამარეში, როგორც მტვერი, განიბნეოდა
უძვირფასესი ჩვენი სიკვდილი!

სიკვდილი ჩვენი სიყვარულის, რომ ვერ ვიმეტებთ
და შიგნი-შიგან რომ ვატარებთ გულით ალალით —
ეს ცხოვრებაზე მეტი არის, მართლაა მეტი —
აი, ეს არის ის, რაც არ არის!

მე ვნახე იგი — კიდევ უფრო ნორჩი, ლამაზი,
უფრო ჟუჟუნა, ვიდრე წინათ, ჰქონდა თვალები,
ცივ ღიმილს ცრიდა ბაგე-კბილის შემკრთალი ხაზი
და მე მაწვდენდა ხმას მოკრძალებით!

მაგრამ არ იყო ეს ხმა მისი, არც ლაპარაკი,
არც გამოხედვა, ჩემ მზერაში გადარეული;
აღსავსე მისით ჩემი გული ზღავდა დანაკლისს —
ვერ პოულობდა სხეულს სხეული!

არადა, ამ დროს მე შემეძლო უკუსვლა მისკენ,
გაყინულ მკერდზე რომ ვმთხვეოდი შემეძლო წასულს,
შემეძლო კიდეც დამეყვირა სიამისაგან:
„ო, მოღალატევ, რა უყავ წარსულს?“

მაგრამ არ იქნა: მომეჩვენა, რომ უცხო ქალი
მხმობდა მისი ხმით, მიღიმოდა მისი თვალებით;
და ქანდაკებას ცივს და უნდობს ჩავლა ვაცალე,
ვთქვი, თუ ვინ არის, რას ვემალები?

გამოსალმება უბადრუკი იყო, ცხადია, —
აბა, ვინ უწყის უსიცოცხლო არსების ყადრი? —
მაგრამ ბუნებავ, ჩემო დედავ, ჩემო გადიავ,
განათუ იმას მე არ ვუყვარდი?

მეხი დამეცეს თუნდა თავზე, ველარაფერი
ამ მოგონებას ველარ წაშლის, ვერ დამავიწყებს —
ვით მეზღვაურის გული წარღვნით არის ნაფერი,
მეც გული მუდამ იქით გამიწევს!

აღარ დავეძებ, რა ყვავილობს ადრე და მალე,
არც — რა მოუვა ადამის მსგავსს და იმის სახეს,
ცანი მაღალნი შუქს მოჰფენენ თუ არა ხვალე
იმას, რაც გუშინ თვითონ დამარხეს;

მე ვამბობ მხოლოდ, რომ მიყვარდა — აი, სიმართლე! —
და რომ ვუყვარდი, და რომ იმ დღეს ვიყავით ერთად;
ჩემს უკვდავ სულში გავახვიე როგორც ზინათი
მე ეს ამბავი და მიმაქვს ღმერთთან!

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მედეა

**ნანა ღვინეფაძე**

„... შენ სხვა ხარ და ქება სხვაა..."
ვახტანგ VI

... ასე იტყოდა მეფე-პოეტი დღესაც, შენი მშვენების მხილველი, თუნდა ხატების მზირალი...

დგახარ ანგელოზივით თეთრად შემოსილი და იმზირები შორს.

ქეთევან მაღალაშვილს უნდა ვუმადლოდეთ ამ სხივმფენ სახსოვარს...

კიდევ ერთი დარდი, კიდევ ერთი მწუხარე თარიღი შეემატა საქართველოს — 1994 წლის 31 მარტი... ამ დღეს აღესრულა მედეა ჯაფარიძე!

საჭიროა განა ახლა მისი როლების მოთვლა, ვისი სახელი და გვარიც თავად გამოხატავს სრულად სილამაზესა და ხელოვნებას!

ჩაიფერფლა დარდში ეს უმშვენიერესი და უსაყვარლესი არსება — მეოთხე წელი შემობრუნდა, რაც მის გვერდით აღარ იყო მისი რჩეული, დიდმოღვაწე ქართველი რეზო თაბუკაშვილი. მზე და მთვარესავით შესისხლხორცდა მათი სახელები — აწ კი შეერთდნენ მონატრებული სულები...

მათთან ურთიერთობა ზღაპარივით დაუვიწყარია ყველასთვის, ვინც იცოდა და იცის სილამაზისა და ტალანტის ფასი.

მედეა ჯაფარიძის უაღრესად საინტერესო, მრავალფეროვან თავისთავად და ნათელ შემოქმედებაზე კვლავაც ბევრი დაიწერება, ეს კია — მედეობას ვერავინ გასწევს ვერც ქალობაში, ვერც ხელოვნებაში!.. ბევრჯერ მოგვენატრება მისი მნათობიერი გამოხედვა, ღიმილი, ხმა...

„მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა", ლოცვასავით წარმოთქვამდა ხოლმე იგი...

მართლაც ლოცვად მუხლმოყრილი იდგა ამ ძნელი სამი წლის მანძილზე მისთვის, ვინც უყვარდა, და სვეგამწარებული საქართველოსთვის, რომელმაც რჩეული ვაჟკაცები დაკარგა მშობლიური მიწის ერთიანობისათვის ბრძოლაში.

„ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეელება —
უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები"...

გალაკტიონის ეს სტრიქონები ალბათ არასოდეს აჟღერებულა ისე ტრაგიკულად, როგორც დღევანდელ საქართველოში და იმ დღეს, როდესაც მედეა უკანასკნელად იყო მშობლიური თეატრის სცენაზე...

... მიჰქონდათ კუბო ციმციმ... საბოლოო სავანემდე, დიდუბემდე, კინოსტუდიის ძველ შენობასთან კი შეჩერდა სამგლოვიარო პროცესია, რათა აქ უკანასკნელად ეთქვა გულის სიტყვა უსაყვარლესი მსახიობისათვის მზრუნველ რეჟისორს ვახტანგ ტაბლიაშვილს...

... მედეა რომ არა, მე „ქეთო და კოტეს" ვერ გადავიღებდიო... ყველა მედეათი იყო შთაგონებული...

აი ეს შთაგონება, რომ თითქოს ფერია დაფრინავს მათ შორის და მაღლს ცხებს, ეს აღმაფრენა ძალუმად იგრძნობა ორმოციან წლებში გადაღებულ ამ უჭკნობ ფილმში.

... და საერთოდ, რაც უცნაური, მაგრამ ძალზე დამახასიათებელი იყო ამ ქართველი ბანოვანისათვის, იგი არ დადიოდა, დაფრინავდა. მუდამ ეჩქარებოდა რეპეტიციაზე თუ სხვათა გაჭირვებით შეძრულს, რათა მავანისაგან მავანისათვის საშველი გამოეთხოვა. ეს სიჩქარე მის ხასიათში იყო, მის პლასტიკაში, მის სიმარდე-სიმკვირცხლეზე მეტყველებდა. რა არაჩვეულებრივი იყო სცენაზე თუ ეკრანზე და რა ჩვეულებრივი ცხოვრებაში. ამიტომაც ითქვა ბევრი ტკივილიანი სიტყვა, ამიტომაც ჩაჰყვა ბევრი წრფელი



# ...ახალი ლეგენდის...

ცრემლი... ვაი, რომ პირიმზეობა მისი ისე დაჩრდილა სენმა, ველარ ვიხილეთ...

თითქოს გუშინ იყო, ორ საჩინო მხცოვან მანდილოსანთან ჩუტა ერისთავთან და ბაპო დადიანთან რომ გამართა ტელედიალოგი სხარტად, უშუალოდ. როცა ქალბატონმა ჩუტამ მამა-მარშალი კონსტანტინე ერისთავი ახსენა, მის თეატრალურ ლვაწლს და პოეზიასაც შეეხო.

და მაშინ მედეა ჩაეკითხა:

— ცნობილი თუ არისო რომელიმე და ქალბატონმა ჩუტამ მართლაც ძალზე ცნობილი ამღერებული ლექსის პირველივე სტრიქონი რომ წარმოთქვა — „ერთხელ ვიხილე ბაღში ყვავილი“ — არ ვიცოდიო, გაიოცა მედეამ და იქვე „ქეთო და კოტეს“ ის კადრები წამოეშველა, რომელშიც მისი ქეთო ამ ლექსს მღერის.

... არ ვიცოდიო... მართლა? თუ ხერხი იყო ესეც, ლამაზად გათამაშებული? მას იმპროვიზაციის ნიჭიც რომ ჰქონდა მომადლებული, მისეულ ორიგინალურ კომპოზიციაში „განუხორციელებელ როლებში“ და პოეზიის საღამოებშიც გამჟღავნდა.

... ქეთევან წამებულზე ვოცნებობდითო ბოლო ხანს, ბრძანა ბატონმა ვახტანგ ტაბლიაშვილმა... ადრე ნატო ვაჩნაძისთვის მინდოდა შემეთავაზებინა ეს როლი, ბოლოს მედეას გარდა არავისთვის მემეტებოდაო... იყოო რაღაც საერთო ნატოსა და მედეას შორის...

... ქეთოდან ქეთევანამდე...

აი მედეა ჯაფარიძის კიდევ ერთი განუხორციელებელი როლი...

ხოლო სიკვდილი მისი მოწამებრივი იყო ჭეშმარიტად...

... ისევ „ქეთო და კოტეზე“ ვფიქრობ და ეს წერილიც დაკრძალვის წინა საღამოს აღძრული შთაბეჭდილებით მინდა დავამთავრო:

„... ტელეეკრანზე კიდევ ერთხელ გაიელვა მედეას მშვენებამ ვახტანგ ტაბლიაშვილის გაუხუნარი ფილმის მეოხებით. თუმცა, დაძველებულა ფირი, როგორც ძველი ფრესკა... და მაინც საუცხოოა!

და ახლა უფრო მძაფრად ვიგრძენი, რა ნათელი ჩაქრა... და ახლა უფრო საჩინო გახდა ის ამაღლებული სიყვარული, რაც ამოძრავებდა კოტეს ქეთოს მიმართ, ხოლო მთელი მისი „ამალა“ თბილისელ მზეჭაბუკთა გუნდი, კოტესთან ერთად რომ შეხარის მედეა-ქეთოს, რაოდენ რაინდული მოკრძალებით არის აღსავსე, და რომ ყოველი მათგანი არის კოტე, ანუ რომეო... ხოლო ყოველი საიდუმლო თუ ჯულიეტობისა, გნებავთ გულსუნდობა-გულქანობისა, მარინ-ჭრიჭინობისა თუ სხვათა და სხვათა, მეტადრე ადრეული როლებისა, ამა ფილმშია დამარხული.

... მედეა... როგორ გშვენოდა ეს სახელი მითიური კოლხი ასულის, თავად ლეგენდას ცოცხლად მოარულს...

... და ხარ სათავე ახალ ლეგენდის“...

4 აპრილი, 1994 წ.

**მინაწერი:** 1 აპრილს, ფიქრის გორაზე და მთელ თბილისში ნუში რომ ჰყვაოდა... მოთოვა. როდესაც უცოდველი, უსპეტაკესი შვილი უკვდება, ბუნება ასე გამოხატავს თურმე თავის სამძიმარს...

1994 წლის აპრილი,
ვნების კვირა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა







გოგი

წერეთელი



ეროვნული ბიბლიოთეკა





**ვახტანგ ბულაძე**

დებიუტი





# ლორის სიმღერა



**ტაკაკურა ტერუ**

**ტაკაკურა ტერუ (დაიბადა 1891 წელს) ეკუთვნის იაპონიის დემოკრატიული მწერლობის უფროს თაობას. ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას ტაკაკურა ტერუმ გასწყვიტა კავშირი ლიტერატურულ სამყაროსთან და სოფელში დასახლდა. მწერალს ხშირად სდევნიდნენ, აპატიმრებდნენ. ომისშემდგომ წლებში ტაკაკურა ტერუ არჩეულ იქნა პარლამენტის დეპუტატად.**

**ხალხის ცხოვრებიდან აღებული მისი მოთხრობები და რომანები დიდი პოპულარობით სარგებლობს იაპონიის მკითხველთა ფართო წრეებში. „ლორის სიმღერა“ იაპონიის ომისშემდგომი ლიტერატურის ერთ-ერთ შესანიშნავ მოთხრობად ითვლება.**

1

როცა ტორა-სანი ჩვენს სახლში მოვიდა, ჩვენს შორის განსხვავება ორი წელი იყო. ის ოცდაერთი წლისა იყო. მე კი ცხრამეტი წლის. მას ტორაო — ვეფხვს — ეძახდნენ, მაგრამ კატასავით წყნარი და მორიდებული ხასიათი ჰქონდა.

ჩვენი ოჯახი ღარიბი იყო და ტორა-სანიც სწორედ ჩვენისთანა გლეხთა წრეს ეკუთვნოდა, რომელთაც სულ რაღაც ხუთი ტანი (დაახლოებით 0,1 ჰექტარი) მიწა გააჩნდათ. მაგრამ ჩვენი პატარა ოჯახი სულ სამი წევრისაგან შედგებოდა — მამა, დედა და მე.

ტორა-სანს კი ძმები ჰყავდა. ის იყო მესამე შვილი და, სურდა თუ არა, ზედსიძედ უნდა შესულიყო უცხო სახლში ან კიდევ ქალაქში რომელიმე ქარხანაში ემუშავა. მაგრამ იმ დროს ყველგან ისეთივე შეფერხება იყო წარმოებაში, როგორც დღეს. თითქმის ყველგან უქმად იდგა ქარხნები. ითხოვდნენ მუშებს და სამუშაოს შოვნა შეუძლებელი იყო.

და მაინც ძნელი იყო დაჯერება, რომ ჩვენს ოჯახს ვინმე ჩაესიძებოდა. არც ჩვენი ადგილი იყო სახარბიელო. ირგვლივ მაღალი მთები, მათ შორის ველი, პატარა, ჩქარი მდინარე, მის გასწვრივ კი აქა-იქ გაფანტულიყო გლეხთა ყანები. ქალაქი ჩვენგან დაშორებული იყო ორნახევარი რით (რი — 4 კილომეტრი). გაზაფხულიდან შემოდგომამდე იქ მთელი დღის განმავლობაში ერთხელ დადის ავტობუსი, ზამთრობით კი ზვავის გამო მოძრაობა სრულიად წყდება. ჩვენს სოფელში არაფრით არ შეიძლება თავი ირჩინო ხუთი ტანი მიწით, მით უმეტეს ისეთი გამოფიტულით, როგორც ჩვენ გვქონდა. ამიტომაც ჩვენ სამივენი, თავი რომ როგორმე გაგვეტანა, ხის ნახშირს ვამზადებდით, დღიურ სამუშაოზე დავდიოდით და ლერწმისაგან კალათებს ვწნავდით.

და აი, ჩვენს ოჯახს სრულიად მოულოდნელად მოევლინა სიძე — ტორა-სანი.

2

იმ დროს აბრეშუმის პარკის, ნახშირის, ბოსტნეულის, ერთი სიტყვით, ყოველივე იმის ფასი, რისი გაყიდვაც კი გლეხს შეუძლია, ძალიან დაეცა და მხოლოდ ძროხებისა და ლორების ფასმა იმატა.

გლეხები, რომელთაც ძროხები და ლორები ჰყავდათ, ნამატის გაყიდვით კარგ ფულს შოულობდნენ. მამაჩემს მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა თავში — როგორმე გოჭი შეეძინა. მაგრამ მისი ყიდვის შესაძლებლობა ჩვენ არ გაგვაჩნდა.

სოფელში ჩვენთან ხანდახან ჩამოდიოდა ვიღაც ხემეკინი, ჩვენივე ოლქის მცხოვრები. მისი სოფელი მდებარეობდა მდინარის ქვემოთ, ოთხი რის დაშორებით ჩვენი ქალაქიდან. ჩვეულებრივ ის ყიდულობდა და ყიდდა ცხენებს, მაგრამ ყიდულობდა აბრეშუმის პარკსაც, ლერწმის კალათებსაც, ხოლო ზოგჯერ გოჭების ყიდვა-გაყიდვასაც ეწეოდა. ერთი სიტყვით, მას ყველაფერი ეხერხებოდა.

ხემეკინის გამო ერთხელ ბებერი, ცალთვალა, ეშმაკობითა და სიძუნწით ცნობილი მაცუხეც კი ხათაბალაში გაება. მან თავის ცხენს სართად ასოცი იენი დაუმატა და სანაცვლოდ ახალი ცხენი მიიღო. მაშინ ასოცი იენი გლეხისათვის მთელ ქონებას შეადგენდა. მაცუხე ყველასთან ტრაბახობდა: „შეხედეთ, რა კარგი რაში შევიძინეო“.

მაგრამ მოულოდნელად ცხენმა კოჭლობა დაიწყო და სანამ მოხუცი გონზე მოვიდოდა, ისე დაკოჭლდა, ტვირთის ზიდვაც კი ვერ შესძლო. როგორ არ მოსვლოდა გული მაცუხეს? იგი გააფთრებული მივარდა ხემეკინს. მან კი უპასუხა: „კი მაგრამ, მოხუცო, როგორ უვლიდი ცხენს. თუ დააკოჭლე, შენს თავს დააბრალეო“. ამით დამთავრდა. სოფელში ხმები დადიოდა, ხემეკინმა ისეთი შელოცვა იცის, რომ თვით კოჭლ ცხენსაც ნახევარი თვით კოჭლობას მოაშლევინებსო.

და აი, სწორედ ეს ხემეკინი ერთ დღეს მოვიდა ჩვენთან კალათების საყიდლად და მამას თითქოს სხვათაშორის ჩამოუგდო ლაპარაკი ტორა-სანზე.

— მეზობელ სოფელში სწორედ შენი შესაფერისი სასიძო მეგულება. მშვიდი, შრომისმოყვარე, სწორედ შენი იტოს შესაფერისიო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კოჭლი ხომ არ არის? ყველამ იცის, რომ შენ კოჭლების გასაღება გეხერხება.

— სულაც არ კოჭლობს. მართლა, სახლში ღორიცა ჰყავთ. და იქნებ გოჭიც კი მოიყვანონ...

რას არ იტყვის ხემენიკი, ყველაფერი ხომ არ დაეჯერება. მაგრამ გოჭი ისეთ დიდ ცთუნებას წარმოადგენდა, რომ მამა სოფელში გაემგზავრა და დაიწყო ყველაფრის გამოკითხვა. საოცარი იყო, მაგრამ ხემენიკის ნათქვამი მართალი აღმოჩნდა.

საქმე მალე მოგვარდა და წლის ბოლოს ტორა-სანი ჩვენს სახლში მოვიდა. მთელ მის სიმდიდრეს შეადგენდა ორი ლეიბი და ტირიფის ტოტებისაგან დაწნული კალათა, რომელშიც მისი ბარგი-ბარხანა ელაგა. სამაგიეროდ, ახალ მწვანე ჩანთაში, რომელიც მან ქორწილის დღეს მოიტანა, გოჭი ღრუტუნებდა. დათქმულიც ასე იყო.

მამამ სიამოვნებისაგან თვალები მოჭუტა.

— ოჰო, შესანიშნავი გოჭია! ალბათ, იორკშირის ჯიშისა თუა. — იგი მხოლოდ გოჭს უყურებდა და არა სიძეს.

იმ დროს ჩვეულებადაც კი გადაიქცა მზითვად ღორების მოყვანა. ხდებოდა ხოლმე, რომ მდიდრულ ქორწილში პატარძლის სამზითვო პროცესიის უკან მოათრევდნენ უზარმაზარ, ჭუჭყიან ყუთში მოთავსებულ გასუქებულ ღორს.

## 3

მართლაც, ტორა-სანი წყნარი, მშვიდი ადამიანი იყო. მას ვერც კი ამჩნევდნენ. შეიძლება იმიტომ, რომ პატარა ტანისა და მოკრძალებული იყო. მაგრამ ტორა-სანმა გლეხკაცის სამუშაო კარგად იცოდა. თუმცა, მის სოფელში კალათებს არ წნავდნენ და პირველად ის მამას ჩამორჩებოდა, მაგრამ მალე ისე დახელოვნდა, რომ მასზე გაცილებით სწრაფად აკეთებდა კალათას.

— გაგიმართლა... კარგი სიძე იშოვე, — ეუბნებოდნენ მამას.

— ჯერჯერობით სამდურავი არაფერი მაქვს, — უპასუხებდა მამა.

მამა მართლაც ძალიან კმაყოფილი იყო. ყველაზე მეტად სახლში რომ ღორი გაჩნდა, ის ახარებდა. მან ააშენა საღორე და გულმოდგინედ უვლიდა გოჭს.

ჩვენს ბატონს და მფარველს მასუძინს ეძახდნენ. მისი სრული სახელი იყო მასუია ძინემონი. მას საქსოვი ფაბრიკა ჰქონდა ქალაქში, ჩვენი სოფლის ცენტრში კი მდებარეობდა მისი სახლი — დიდი, თეთრი მესერით შემოვლებული, რომელიც ციხე-კოშკს ჰგავდა.

ჩვენ მასუძინის მოიჯარეები და ხელქვეითები ვიყავით. გლეხებს სოფელში ყოველთვის ჰყავდათ მფარველი — რომელიმე მემამულე. ხელქვეითები მარტო იჯარას როდი უხდიან მათ მიღებული მიწისათვის. როცა მფარველის სახლში რაიმე ეწყობა, ყველა ხელქვეითი ოჯახის წევრებთან ერთად ეხმარება მის მოსამსახურეებს. ამისათვის ახალ წელს და სულის საცხონებელ დღეს მათ იწვევენ მემამულის სახლში და უმასპინძლდებიან. მფარველს მიმართავენ აგრეთვე გაჭირვების დროს ფულის სასესხებლად და ყოველგვარი დახმარებისათვის. მემამულე მასუძინი ორმოც წელს გადაცილებული იყო. მუდმივი ღვინის სმისაგან მას სახეზე მუქ-წითელი ფერი გადაჰკრავდა. ჭაღარა თმის გამო ეს განსაკუთრებით შესამჩნევი იყო

ტორა-სანი რომ ჩვენს ბატონს არ მოსწონებოდა, შავი დღე დაადგებოდა, მაგრამ ტორა-სანი ისეთი ჩუმი იყო, რომ ამ მხრივ შეიძლებოდა სრულიად დამშვიდებული ვყოფილიყავით.

მეორე წელიწადს, გაზაფხულზე, ჩვენმა ღორმა რვა გოჭი მოიგო. ენით გამოუთქმელი იყო მამის სიხარული. გოჭები რომ გაყიდა, სარფა მიიღო. ეს კი პირველი შემთხვევა იყო მის სიცოცხლეში.

ახლა ჩვენ მუშაც გვყავს და ღორიც. ამიერიდან ჩვენი ცხოვრებაც კარგად წავა. ყველაფერი ეს შენი წყალობით არის, ტორა-სან.

მამამ რამდენჯერმე გაუმეორა ეს სიტყვები ჩემს ქმარს. შემოდგომაზე ბიჭი შემეძინა. იგი პირწავარდნილი მამა იყო. მასავით მრგვალი თვალები ჰქონდა. ჩვენმა მფარველმა მასუძინმა მას ესიო დაარქვა.

მამა პირველმა შვილიშვილმა მეტად გაახარა, მაგრამ იმდენად მაინც არა, როგორც გოჭების გაჩენამ.

## 4

წლის ბოლოს თავს დაგვატყდა უბედურება.

ჩვენი მფარველის უფროსი ქალიშვილი ტოკიოში გათხოვდა. ამბობდნენ, რომ მისი საქმრო დიდი მოხელე იყო. ერთი სიტყვით, მათ ისეთი ქორწილი ჰქონდათ, რომ ამან მთელი ქალაქი აალაპარაკა. რასაკვირველია, ჩვენი ოჯახი წავიდა მემამულის სახლში, რათა მას მომსახურებოდა. ტოკიოდან დაბრუნებულმა მასუძინმა დაპატიჟა ყველა იქ მომუშავე ხელქვეითნი და გაუმასპინძლდა. ღვინით დაუძახეს მამაკაცებს, ქალებს კი საღამოთი.

ჩვენი მფარველი სიხარულისაგან ეტყობოდა დაითვრა და რაღაცეებს როშავდა. გვიან იყო. მე ის იყო სახლში წასვლა დავაპირე, რომ უცბად მომესმა: „ეი, იტო, მოდი ჩემთან ერთი წუთით“. მან ხელი წამავლო და თავის საწოლ ოთახში წამათრია.

მე საშინლად შემეშინდა. მართალია, წინათ ასეთ შემთხვევებში არაერთხელ მიხდებოდა მისი სურვილის დაკმაყოფილება. და განა მარტო მე! ჩვენს სოფელში ხელქვეითთა ყველა ქალიშვილი მიჩვეული იყო ამას. მაგრამ ახლა ხომ ქმარი მყავდა, ტორა-სანი! მართალია, მრავალი ქალი გათხოვების შემდეგაც განაგრძობდა ბატონის ჟინის დაკმაყოფილებას, მაგრამ მე ვერაფრით ვერ წარმომედგინა, რომ ახლა ჩემი რიგი დადგა!

შიშისაგან გრძნობადაკარგული გავიქეცი. ეშმაკსავით გაწითლებული ბატონი უკან დამედევნა. შევეცადე როგორმე ხელიდან გავსხლტომოდი, ჭილობზე დაგდებულ თეფშს ფეხი წამოვკარი, დავამტვრიე და ფეხი გავიჭერი. არ მახსოვს როგორ გამოვვარდი ქუჩაში. გავრბოდი, ვერაფერს ვხედავდი, ფეხის ტკივილი საშინლად მაწუხებდა.

მშობლებს უკვე ეძინათ. ტორა-სანი კი იქვე კუთხეში თოკს გრეხდა.

— რა მოგივიდა?

შეშინებული ტორა-სანი ხან სახეში მიცქეროდა და ხან ფეხზე მომჩერებოდა. ფეხი მთლად დასისხლიანებული მქონდა. მე ტორა-სანს ჩავეკარი და ავქვითინდი.

— რა მოხდა, — მკითხა მან და სწრაფად შემიხვია ფეხი.

მე ვუამბე, რაც მოხდა. ის ყურადღებით მისმენდა. უცბად სახე საშინლად შეეცვალა.

— მაშ... შენ აქამდე კავშირი გქონდა მემამულესთან, არა? ტორა-სანის ასეთი მრისხანე სახე მე არასოდეს არ მენახა. უნებურად ხმა ამიკანკალდა.

კი... მაგრამ აქამდე ხომ სხვანაირად არ შეიძლებოდა...

— სულელო! — იყვირა მან, ბოლომდე არც კი მომისმინა და ისე ძლიერ დამარტყა, რომ მეორე მხარეს მივეწარცხე. ესეც შენ, აი.

და მუშტები დამიშინა. მე იატაკზე დავეცი და ჩემთვის უჩვეულო ხმით მოვრთე საშინელი ყვირილი. რა ამბავია?

ხმაურმა დედა და მამა გამოაღვიძა. უკვე არაფრის დამალვა აღარ შეიძლებოდა. ჩვენი ქოხი ერთი ოთახისგან შედგებოდა:

აი ყური დამიგდეთ... იტო... ის... თურმე...

ტორა-სანი ისეთი გააფთრებული იყო, რომ წესიერად ვერც კი ლაპარაკობდა.

მამა გაიგო თუ არა საქმის ვითარება, თავის მხრივ აღშფოთდა.

აი თურმე რაშია საქმე... ამისთვის ცემე იტო? განა არ იცი, ყველა სოფელს თავისი კანონები აქვს. აქამდე მთელი ჩვენი ოჯახი ბატონის წყალობით ცხოვრობდა. სახლში მიგიღეთ... შენ კი... უმადური პირუტყვი აღმოჩნდი!

მამამ ტორა-სანს სახეში გაარტყა. დედა მივარდა ტორა-სანის მისაშველებლად:

— მამა, — დავიყვირე მე და ატირებული მამას შემოვეჭდე.

## 5

მეორე დილით ტორა-სანი მივიდა ჯერ კიდევ მძინარე მამასთან. ორივე ხელი იატაკზე დააწყო და თავი დაუკრა.

— მამა, მე დამნაშავე ვარ, მაპატიეთ. გავჯავრდი...

ტორა-სანს სახეზე ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოდიოდა. მე მეტად მიმძიმდა.

გადიოდა ხანი. მამას კი ხასიათი არ ეცვლებოდა და ეს იმიტომ, რომ ჩვენს ბატონს ტორა-სანი თვალში აღარ მოუვიდა და საშინლად აგინებდა. შეხვედრისას ზურგსაც კი უქცევდა. თუმცა ტორა-სანი თავაზიანად უკრავდა თავს, მასუძინს თავი ისე ეჭირა, თითქოს ვერ ამჩნევდა. სიძე, რომელიც თვალში არ მოუვიდა მემამულეს, მამაჩემს ვერ მოეწონებოდა. ამის შემყურე დედა იტანჯებოდა. ის ცუდად არ ექცეოდა ტორა-სანს.

— მძიმეა შენთვის, მესმის... მაგრამ მოითმინე... უნდა დაუთმო შენზე ძლიერს. იფიქრე ბავშვზე... ეუბნებოდა ის ჩუმად ტორა-სანს და გულში იხუტებდა პატარა ესიოს.

ცუდად წავიდა ჩვენი საქმე, მაგრამ გამოსავალი არ ჩანდა. ამას კიდევ ახალი უბედურება დაემატა.

საქმიანობა ყველგან შეფერხდა. გლეხებს

წილად ხვდთა მარტო ტანჯვა-წვალება.

ძროხისა და ღორის ფასი ყოველთვის მაღალი იყო. მაგრამ უეცრად რაღაცა მოხდა და მათი ფასიც დაეცა. როგორც კი ფასები დაეცა, ყველას თავს დაატყდა ნამდვილი უბედურება.

პირუტყვის ფასი დაეცა, საკვები კი, პირიქით, გაძვირდა. თუ საკვები არა გაქვს, ვერც ძროხებს შეინახავ და ვერც ღორებს, ხოლო საკვებს თუ შეიძენ, იცოდე, რომ იზარალებ. გოჭებს არავინ ყიდულობდა.

ფასები ეცემოდა, ღორები კი ჩვეულებრივ იგებდნენ გოჭებს, რა უნდა მოგვეხერხებინა გოჭებისათვის. გასაღებით ვერ ასაღებ, საკვებისთვის კი ფული არ არის. ვიფიქრეთ, ვიფიქრეთ და ვერაფერი ვერ მოვიფიქრეთ. და აი, ვიღაცამ აიღო და ახალმოგებული გოჭები მდინარეში გადაისროლა. მას სხვებმაც მიბაძეს. მდინარე რომ ადიდდა, დამხრჩვალი გოჭები წყალმა წალეკა.

ქალაქში, რომელიც მდინარის ქვემოთ მდებარეობდა, მეთევზეები ცხოვრობდნენ. თევზას დასაჭერად მათ დააგუბეს წყალი და როცა მდინარე ადიდდა, დამხრჩვალი გოჭები გუბეში მოჰყვნენ. ეს იყო მიზეზი, თუ სხვა რამ, გაურკვეველია, მაგრამ მალე თევზი სრულიად გაწყდა. მეთევზეებმა პოლიციაში იჩივლეს და ისიც ჩაერია საქმეში.

პოლიციელი ჩამოვიდა ჩვენს სოფელში, დაიწყო საქმის გამოძიება და მთელს სოფელს დაადო ჯარიმა. დაკითხეს ჩვენი ოჯახიც და ხუთი იენით დააჯარიმეს. ამდენი ფული ჩვენ მაშინ არ გვქონდა. მამამ თხოვნით მიმართა ჩვენს ბატონს, რომელმაც ბოლოს და ბოლოს მოგვცა ეს ხუთი იენი.

ყველა ჩვენი უბედურების მიზეზი ეს არამზადაა... თქვა ერთხელ მამამ ხმამაღლა, ტორა-სანის გასაგონად.

მე და დედა დავიბენით. როგორც ჩვენ შემდეგ გავიგეთ, ბატონს უთქვამს მამისთვის:

— რად გინდა ეგ სიძე? გააგდე, რამდენიც გინდა, იმდენს გიშოვი და მაგაზე გაცილებით უკეთესსაც...

— კეთილი, ბატონო, ასეც გავაკეთებ, — უპასუხა მამამ.

ტორა-სანი კიდევ უფრო თვინიერი გახდა და ცდილობდა მამას ზედმეტად არ დანახვებოდა. მე მებრალებოდა ტორა-სანი. ვეუბნებოდი: — მოითმინე... ესიოს გულისათვის.

ყოველთვის, როდესაც მასთან მარტოდ დავრჩებოდი, ვთხოვდი, ეპატიებინა ჩემთვის.

ზოგჯერ ორივენი მივდიოდით მთებში საკალათე ლერწმის საჭრელად. ტორა-სანს ზურგით მოჰყავდა ესიო. იგი მიბმული იყო თვითსაზიდზე. ხელს შეახებდი თუ არა ბიჭუნას, მაშინვე დაიწყებდა მხიარულ კისკისს. მაშინ ტორა-სანიც მოჭუტავდა თვალებს, მობრუნდებოდა და იცინოდა. მხოლოდ ასეთ წუთებში იყო იგი მხიარული. მამამ თავი მიანება ღორის მოვლას და ტორა-სანი ჩუმად, თითქოს სასირცხო საქმეს აკეთებსო, აჭმევდა მას და უცვლიდა საფენს.

## 6

როდესაც საშემოდგომო სამუშაოები დამთავრდა, ჩვენ ყველამ სწრაფად დავიწყეთ კალათების წვნა და ნახშირის გამოწვა, ტორა-სანი ძლივს ასწრებდა მთაში სირბილს ლერწმისათვის.

ერთხელ ტორა-სანი მთის ბილიკზე ეშვებოდა. ზურგით ლერწამი მოჰქონდა. ხელში კი ხურმის ტოტი ეჭირა. მთაში მწიფე ხურმა შეამჩნია და მოისურვა ტკბილი ხილით ესიო გაეხარებინა. გარეული ხურმის მწიფე ნაყოფი ბრინჯის კანფეტზე უფრო ტკბილია, მან ფრთხილად მოტეხა ნაყოფიანი ტოტი და ლერწმის კონაზე კი არ დაადო, რადგან შეიძლებოდა გზაში დაკარგოდა, არამედ ხელში დაიჭირა და მთელი გზა ასე მოჰქონდა.

უკვე ღამდებოდა. უეცრად კი პირისპირ შეეჩეხა ბატონს.

— ეს შენ ხარ, ტორაო? მაშ, შენ ისევ აქა ხარ?

ჩვენი მემამულე მასუძინი იმათ რიცხვს ეკუთვნოდა, ვინც დილიდან იწყებს სმას, მთელი დღე ნასვამი დაეხეტება, მაგრამ ამჯერად იგი ჩვეულებრივზე უფრო მთვრალი იყო.

— გესმის, ტორაო, იტო ხომ ჩემია! ბავშვიც ჩემია! შენ კი ხელს მიშლი. ახლავე წაეთრიე შენს სოფელში, — დაიღრიალა მან და წაბარბაცდა.

ტორა-სანს უნდოდა თავიდან ქუდი მოეხადა და მისალმებოდა, მაგრამ ერთ ხელში ჯოხი ჰქონდა, რომელზედაც ტვირთი ედო, მეორე ხელით კი ხურმის ტოტი ეჭირა, ამიტომ მან ერთბაშად ვერ მოახერხა ამის გაკეთება.

— რაო? შენ ჩემს წინაშე ქუდს არ იხდი?

ბატონმა უცებ ტორა-სანს ხელიდან გამოგლიჯა ხურმის ტოტი და სახეში გაარტყა. ტოტს ნაყოფი ჩამოცვივდა და ბატონმა ფეხით გასრისა იგი. გაშმაგებული ტორა-სანი მივარდა მემამულეს.

როგორც შემდეგ ამბობდნენ, ტორა-სანმა მთლად დაკარგა გონება, როდესაც გაიგონა ბატონის ბრძანება — შენს სოფელში წაეთრიეო. მას სიკვდილზე მეტად ეშინოდა საკუთარ სახლში, ცხრა სულისაგან შემდგარ ოჯახში დაბრუნების. აი, რატომ გაჯავრდა ის ასე ძალიან. მაგრამ ბატონი თუმცა მთვრალი იყო, ღონე მაინც ჰქონდა, ხელი ჩასჭიდეს ერთმანეთს და ორივენი დაგორდნენ ბრინჯის ყანაში. როგორც ჩანს, ბატონი წაქცევის დროს ლერწმის ქვეშ მოექცა და ტუჩი გაიჭრა, მას ცხვირიდან სისხლი სდიოდა.

შეგროვდა ხალხი, ისინი ძლივს გააშველეს. ტორა-სანი ისე გაცხარდა, რომ ბატონს ხელი ჩაავლო თმაში და არაფრით არ უნდოდა მისი გაშვება. ატყდა საშინელი ხმაური. ტორა-სანი სოფლის სამმართველოში წაიყვანეს. როგორც იქნა, საქმე მოაგვარეს მამასახლისის წყალობით.

მეორე დღეს ტორა-სანი მამისა და მამასახლისის თანხლებით გაემგზავრა ბატონთან პატიების სათხოვნელად. ბატონმა ტორა-სანი არ მიიღო და შემოუთვალა: პოლიციას არ შევატყობინებ, მაგრამ არც ერთ წუთს არ გავაჩერებ ასეთ არამზადას სოფელში, ახლავე გაშორდეს ტორაო ცოლს.

ასე მოუხდა ტორა-სანს ჩვენი დატოვება: ხელში აიღო ტირიფისაგან დაწნული კალათა და უსაზღვროდ დამწუხრებული ჯერ კიდევ მზის ამოსვლამდე წავიდა სოფლიდან.

მეტად მძიმე იყო მისთვის ესიოსთან გაშორება, მე ბავშვთან ერთად გავაცილე ტორა-სანი სოფლის ბოლომდე. ესიოს ჩემს ზურგზე ეძინა. ტორა-სანი კი ცრემლებით სავსე თვალებით შეჰყურებდა ბავშვს და სახეზე ხელს უსვამდა. ბოლოს მიტრიალდა და სწრაფად გაგვცილდა. მე მესმოდა მის ფეხქვეშ როგორ იმტვრეოდა ყინული. გასცდა თუ არა სოფელს, რამდენჯერმე შემობრუნდა იგი და სამუდამოდ დაგვემშვიდობა.

მას შემდეგ, რაც ტორა-სანი ჩვენი სახლიდან წავიდა, ბატონმა კვლავ მოუხშირა ჩვენთან სიარულს. იგი კმაყოფილი იყო და მე კვლავ იძულებული გავხდი მის სურვილს დავმორჩილებოდი. როგორც ჩანდა, ბატონის ყოველი სტუმრობა ერთგვარ სარგებლობას აძლევდა მამას, და ისიც წინანდელზე უფრო მეტად ეგებოდა მას ფეხქვეშ, მაშინდელ დროში ორმოცდაათი სენიც (სენა — წვრილი ფული, იენის ერთი მეასედი) კი დიდი თანხა იყო გლეხებისათვის. ჩვენს ოჯახს მოაკლდა მუშა და მამას ძალიან უჭირდა ყოველდღიური საქმეების გაძღოლა...

— ცხოვრობ ისე, როგორც მოგიხერხდება და არა ისე, როგორც გსურს... რაც გინდა ისა თქვი, მაგრამ ტორაო შრომაში ყოჩაღი იყო, — არაერთხელ აღმოხდენია მამას დედასთან საუბარში.

ღორი, რომელიც ოდესღაც ტორა-სანმა მოიყვანა, გაყიდეს. დაცარიელებული საღორე მამამ ბოსტნეულის საკუჭნაოდ გადააქცია. ახლა უკვე აღარაფერი აკავშირებდა ჩვენს ოჯახს ტორა-სანთან. როგორღაც ჩვენთან შემოიარა ხემეკინმა და გვიამბო, რომ ტორა-სანი დაბრუნდა თავის მშობლებთან, მაგრამ იქ ვერ გაძლო და ქალაქში წავიდა. ტორა-სანი შავი მუშა გახდა. მან ესიოს ხემეკინის ხელით სათამაშო გამოუგზავნა. ეტყობოდა, შვილი ვერ დაივიწყა.

## 7

მეორე წელს გაზაფხულზე ჩვენი ოჯახი გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა და მე გამყიდეს — სარონკიპოში მომათავსეს.

მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. მამა სწრაფად ბერდებოდა, მუშა მამაკაცი არა გვყავდა, მიწას წესიერად ველარ ვამუშავებდით, ვალი ვალს ემატებოდა. იჯარის ფულს ველარ ვიხდიდით. ბატონის დახმარების იმედი არ შეიძლებოდა გვქონოდა. რა დარჩენოდა მამაჩემს იმის გარდა, რომ ქალაქში წავეყვანე და გავეყიდე.

სარონკიპოში ცხოვრება სრულიად არ მემძიმა. აქ თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობდი, ვიდრე სოფელში. გაცილებით უფრო მაძღარი ვიყავი, საზრუნავი არაფერი მქონდა. მე რომ ესიო და მშობლები არ მყოლოდა, შეიძლება, რომ აქ მეცხოვრა მუდმივად.

მხოლოდ ერთი რამ მადარდებდა — ესიოსთან დაშორება. ეს მეტად მძიმე იყო ჩემთვის. შვილი იზრდებოდა და სულ მამას ემსგავსებოდა. მე სულ უფრო ხშირად ვფიქრობდი ტორა-სანზე.

იმის შემდეგაც კი, რაც მე სარონკიპოში მოვხვდი, ჩვენი ბატონი მასუძინი ხანდახან მოდიოდა ჩემთან. ქალაქში მას ფაბრიკა ჰქონდა და როდესაც საქმეზე ჩამოდიოდა,



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხშირად ათევდა ღამეს ჩემთან. თუმცა ლაპარაკობდნენ, მას აქ ძალიან ლამაზი საყვარელი ჰყავსო.

8

წლის ბოლოს მე სრულიად მოულოდნელად მომიხდა ტორა-სანთან შეხვედრა.

მოულოდნელად ჩემთან მოვიდა მამა და მითხრა, რომ ესიო მძიმედ ავად იყო. ის გაცივდა და ფილტვების ანთება დაეწყო. გონებადაკარგული სოფელში გავეშურე. როდესაც სახლში მივედი, ბიჭუნა უკვე სიკვდილის პირას იყო. ის მხოლოდ საბრალოდ კვნესოდა. ექიმმა თქვა, რომ მას დაეწყო ავადმყოფობა, რომელსაც „მენინგიტი“ ეწოდება.

მე ვთხოვე მამას, ახლავე გაეგზავნა დეპეშა ტორა-სანისათვის. მეორე დღესვე, გვიან ღამით ჩვენთან გაჩნდა. ესიო თვალებს ვეღარ ახელდა. ძლივსღა კვნესოდა.

ტორა-სანმა მას სათამაშო მოუტანა — პატარა ავტომანქანა. ერთხელ, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ტორა-სანი ჩვენთან ცხოვრობდა, მან დღესასწაულზე ესიო ზურგზე მოიკიდა და სასეირნოდ წავიდა. ესიომ ერთი ვაჭრის ფარდულში ასეთი ავტომობილი დაინახა და დაუწყო თხოვნა მამას, სათამაშო მიყიდეო, მაგრამ მას ფული არ ჰქონდა. ესიო მაშინ დიდხანს ტიროდა და ჭირვეულობდა, ალბათ ეს შემთხვევა მოაგონდა ტორა-სანს.

ესიო მეორე დღეს საღამოს გარდაიცვალა. ტორა-სანმა მას თავთან დაუდო პატარა წითელი ავტომობილი და დიდხანს ტიროდა. ის გარიჟრაჟზე წავიდა — დილით ხომ ბატონისათვის უნდა გვეცნობებინა ესიოს სიკვდილის ამბავი. ბატონს რომ ტორა-სანის ჩვენს სახლში ყოფნა გაეგო, შეიძლება უსიამოვნება შეგვმთხვეოდა.

9

სწორედ მაშინ გაიგო ტორა-სანმა, რომ მე ქალაქის საროსკიპოში ვმსახურობდი. ის შავი მუშა აღარ იყო. ახლა ფაბრიკაში მუშაობდა.

ერთხელ, გაზაფხულის დამდეგს, ტორა-სანი საროსკიპოში მოვიდა და როგორც ჩვეულებრივი სტუმარი, ჩემთან დარჩა. თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობდი. ესიოს სიკვდილის შემდეგ ტორა-სანი ჩემთვის უფრო ძვირფასი გახდა, ვიდრე წინათ იყო.

ის წინანდებურად მორიდებული იყო, კარებში მჯდომი მოხუცი ქალისაც კი შეეშინდა. ტორა-სანმა მითხრა, მანამდე არასდროს არ ვყოფილვარ საროსკიპოში, და ვიდრე შემოსვლას გავბედავდი, ერთი ათჯერ მაინც გავიარ-გამოვიარე, სანამ შემოსვლას გადავწყვეტდიო.

ტორა-სანს დიდი ხანია სურდა ჩემი ნახვა, შიმშილობდა და ფულს აგროვებდა. ის დაახლოებით ორ თვეში ერთხელ მოდიოდა ჩემთან. ერთხელ მან კიმონოს გასაწყობად იაფფასიანი ქსოვილი მომიტანა. მე მომსვლელთაგან არასოდეს არ მიმიღია საჩუქარი და ამიტომ ძალიან მესიამოვნა. ტორა-სანმა გაკვირვებით შემომხედა და თვალები გაუბრწყინდა.

— რა გენატრება ახლა ყველაზე მეტად? — მკითხა მან.

ასეთ, ევროპულიყაიდის თეთრ წინსაფრებს ჩვენს სოფელში არ ატარებდნენ. სოფლის ქალები ისევ მოკლე წინსაფრებით დადიოდნენ. ის იყო ჩვენს დაწესებულებაში თეთრი, გრძელი წინსაფარი შემოიღეს. სტუმრებთან ამ წინსაფრით ჩვენ არ გამოვდიოდით. მაგრამ დასუფთავებისა და სხვა საქმის კეთების დროს ვატარებდით. რა უცნაური რამ არის ეს მოდა! მოდური ყველაფერი გასაოცრად ლამაზი გეჩვენება. მე სულით და გულით მსურდა ასეთი წინსაფარი მქონოდა; მაგრამ ამის შესაძლებლობა არ მქონდა. მე არ მყავდა ისეთი სტუმარი, რომ მისგან ფული მიმეღო. ამიტომ ვთხოვე ტორა-სანს წინსაფარი.

— წინსაფარი? რა ღირს ნეტა? — ტორა-სანს ისეთი საცოდავი სახე ჰქონდა, რომ მე შემებრალა და მაშინვე ვუთხარი:

— არ არის საჭირო, ტორა-სან... მე არ მინდა, რომ ჩემს გამო ხარჯი გასწიო.

ცოტა ხანს დავფიქრდი და ვუპასუხე:

— გრძელი წინსაფარი...

10

ამის შემდეგ ტორა-სანი ერთხანს არ გამოჩენილა. მაგრამ აი ერთ დღეს პოლიციაში გამომიძახეს და აქ ვნახე იგი. მე გამომიცხადეს, რომ ტორა-სანი დაკავებულია ქურდობისთვის. მას უნდოდა მაღაზიებში გრძელი წინსაფარი მოეპარა.

— მაპატიე, შენც კი შეგარცხვინე, დამნაშავე ვარ შენთან, მაპატიე... ტორა-სანმა თავი დაღუნა და თვალებიდან ცრემლები წამოსცვივდა.

არასოდეს არ ყოფილა ტორა-სანი ჩემთვის ისეთი ძვირფასი, როგორც ამ წუთს, იქ რომ უცხო ხალხი არ ყოფილიყო, მივვარდებოდი და მაგრად, ძალიან მაგრად ჩავიკრავდი მას გულში.

ტორა-სანი რამდენიმე ხანს იჯდა პოლიციაში, მერე გამოუშვეს, სასამართლო არ გამართულა. გავიგე, რომ იგი მისმა უფროსმა ძმამ სოფელში წაიყვანა.

მას შემდეგ ტორა-სანის შესახებ არაფერი გამიგია, ძალიან ვწუხდი, მაგრამ ვერაფერი გავიგე, ერთხელ ჩემთან მოვიდა კაცი მისი ქარხნიდან. მე შევეკითხე ტორა-სანზე. გამოირკვა, რომ იგი აღარ მუშაობდა ამ ქარხანაში.

11

დაიწყო ომი და ჩვენი დაწესებულება დახურეს. მე ჩვენი ქალაქის ქარხანაში გამგზავნეს სამუშაოდ. მალე მამა ავად გახდა და იძულებული გავხდი სახლში დავბრუნებულიყავი. სწორედ მაშინ მიამბო დედამ ხემეკინის ნათქვამი ტორა-სანის შესახებ: ის თურმე ტოკიოში გაემგზავრა და იქ მუშაობდა რომელიღაც ქარხანაში, შემდეგ ჯარში გაუწვევიათ და სადღაც შორს წაუყვანიათ.

12

ბოლოს ომიც დამთავრდა. ჩვენი ქარხანა დახურეს, მე კი სახლში გამგზავნეს. დიდი ხნის შემდეგ კვლავ შევუდექი გლეხკაცის სამუშაოს შესრულებას.

მამას დამბლა დაეცა, ის მეტწილად იწვა და ყველაფერს მის მაგივრად მე ვაკეთებდი. იმ დროს ბრინჯის, ხორბლისა და ბოსტნეულის ფასი მაღალი იყო და ჩვენი საქმე, წარმოიდგინეთ, კარგად მიდიოდა, ჩვენ გვეხაროდა, რომ ბოლოს და ბოლოს, მსოფლიოში ყველაფერი მოგვარდა, მხოლოდ ერთმა ამბავმა გააოცა ყველა: ომისშემდგომ პირველ არჩევნებშივე ჩვენი მფარველი და ბატონი, მემამულე მასუძინი უეცრად პარლამენტში მოხვდა. ამბობდნენ, რომ ჩვენი ბატონის მფარველი წმენდაში მოჰყვა, ამიტომაც მთელი მისი გავლენა და ძალა ჩვენს ოლქში მასუძინზე გადავიდა.

გასაკვირი კი ის იყო, მამამ კვლავ იყიდა ღორი. მალე საღორეში კვლავ აღრუტუნდნენ გოჭები. მამამ ისინი შემდეგ დედაღორზე გაცილებით უფრო ძვირად გაყიდა.

ჩვენი ოჯახი მასუძინისაგან ყოველთვის იღებდა იჯარით დაახლოებით ხუთ ტან მიწას. ახლა ჩვენ შევძელით ამ ნაკვეთის მთლიანად შესყიდვა. ასე გავხდით ჩვენ დამოუკიდებელი გლეხები.

მაგრამ წლის ბოლოს მამა გარდაიცვალა.

ქვეყნადაც საქმეები ისე არ მოგვარებულა, როგორც ჩვენ ვფიქრობდით. ცხოვრების გაუმჯობესება ხანმოკლე აღმოჩნდა. გლეხთა პროდუქტებიც კვლავ გაიაფდა. გაიაფდა გოჭებიც. მწარე გამოცდილებით ჭკუანასწავლმა მე მაშინვე გავყიდე დედაღორი და გოჭები და მართლაც, მალე ისეთი დრო დადგა, რომ შიმშილისაგან დახოცილი გოჭები კვლავ მდინარეს გააყოლეს.

დიდი გადასახადების გამო გლეხთა ცხოვრება ისე გაუარესდა, როგორც არასოდეს. მე და დედაჩემს ნუ იკითხავთ: რა უნდა გვექნა მარტოხელა ქალებს? სახლში ერთი მარცვალი ბრინჯი არ გვქონდა, საჭმელი არ გაგვაჩნდა: ჩვენი ბატონი და მფარველი მასუძინი კი ახლა ისეთი მნიშვნელოვანი საქმეებით იყო გართული, რომ სულ დაივიწყა თავისი ხელქვეითები.

— სად არის ახლა ტორა-სანი? — ვკითხულობდი მე სულ უფრო და უფრო ხშირად.

13

დადგა არჩევნების დრო და ჩვენმა ბატონმა მასუძინმა კვლავ ჩამოუარა გლეხებს. სოფელი მთლად თოვლით იყო დაფარული, და ის ყოველ ნაბიჯზე თოვლში ეფლობოდა. ჩვენი ოჯახი ყოველთვის მის მომხრეთა რიცხვს ეკუთვნოდა. და მუდამ მას აძლევდა ხმას.

ერთხელ თოვლში ზამთრის სუსხიან დილას, წყალზე წავედი. ჭალასთან ვიღაც კაცი იდგა. მის სახეზე მხიარული ღიმილი კრთოდა. პირველად ვერც კი ვიცანი, ვინ იყო. ჯარისკაცის ტანსაცმელი ეცვა და ქუდი ყურებამდე ჩამოეფხატა. ხელში ორი მოსაწევი ჯოხი ეჭირა. უეცრად გული ამიძგერდა, ერთხელ კიდევ შევხედე მას. დიახ, ეს ტორა-სანი იყო.

— ტორა-სანი!

მოულოდნელობისაგან კოკაც კი გამივარდა ხელიდან.

— დიდი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს, იტო!

— ტორა-სან! შენ ცოცხალი ხარ! ამბობდნენ რომ ჯარში წახველი...

— ახლა ტოკიოში ვცხოვრობ. მალე აქ არჩევნები მოეწყობა და მე როგორც აქაური, აქ გამომგზავნეს.

— მაშ... ისევ ტოკიოში წახვალ?

— ხვალ ადრე დილით წავალ. ახლა ესიოს საფლავზე ვიყავი. ამბობენ, მამა მოკვდაო?

— დიახ...

— შენ, ალბათ, გიმძიმს მარტოხელას?

პირველად თითქოს გავქვავდი, მერე კი სახლისკენ მოვკურცხლე.

— დედა, ტორა-სანი ჩამოვიდა! — დავიყვირე ზღურბლთან.

დედა გაციებული იყო და იწვა.

ტორა-სანი დედას მიესალმა. მოსაწევი ჯოხები გვერდით დააწყო. მერე ბუხარს მიუჯდა და ჩვენთან ერთად დალია ჩაი.

— მართალი გითხრათ, თქვენთან ერთი სათხოვარი მქონდა და მისთვის მოვედი, — თქვა მან.

მე შევკრთი და შევხედე. ტორა-სანი ახლა უკვე სულ აღარ გავდა წინანდელ ტორა-სანს.

— თხოვნა ასეთია. ვერ გაათევინებთ ღამეს ორ ჩემს ამხანაგს კულტურული რაზმიდან? მათ ეს რაიონი უნდა მოიარონ, ნაცნობები კი ამ სოფელში არავინა ჰყავთ. ისინი შეიძლება ერთ საწოლში მოათავსოთ. თან მოიტანენ ბრინჯს და ყოველივე დანარჩენს. მათ მხოლოდ ღამის გათევა უნდათ.

— მოვიდნენ. შენც აქ გაათევ, ტორა-სან?

— არა, მე ჩემს ამხანაგთან ერთად წავალ სხვა სოფელში, თქვენთან კი ცოლ-ქმარი გაათევს ღამეს, მაშ ასე, ახლა კი დავმშვიდდი, გმადლობთ.

მე კვლავ შევხედე ტორა-სანს. ნუთუ ისაა? წინანდელი ტორა-სანი ასე პირდაპირ ვერ უმზერდა ხალხს.

— რას ნიშნავს კულტურული რაზმი?

— მოდი დღეს სახლში, სადაც თქვენები იკრიბებიან. მე ვიმღერებ.

— შენ იმღერებ? ყველას წინ?..

— კი. მე ციმბირში ვისწავლე აკორდეონის დაკვრა, მოდი, მოუსმინე, ცუდად არ ვუკრავ.

ტორა-სანმა თვალები მოჭუტა. მე ესიოს თვალები მომაგონდა და შევეკითხე:

— ტორა-სან! მას შემდეგ შვილები არ გყოლია?

მან გულიანად გადაიხარხარა:

— სულელო, სად გაგონილა რომ მარტო მამაკაცს გაეჩინოს შვილი.

— ესე იგი, ამ ხნის განმავლობაში სულ მარტო იყავი? რატომ არ ითხოვე ცოლი?

— მაგისთვის დრო სად იყო, — თქვა მან და სიცილი განაგრძო.

მაგრამ მაშინვე ადგა, ტანსაცმელი გაისწორა და ჩაილაპარაკა:

— მაშ, ღამეს გაათევინებთ... გთხოვთ.

და ამ სიტყვებით სწრაფად გავიდა გარეთ.

14

იმ დღეს სამუშაოს გული ვერ დავუდევი. ხან ერთი მავიწყდებოდა, ხან მეორე, არაფერი არ გამომდიოდა. ტორა-სანის შეხვედრამ გონება ამირია.

დილით თოვა დაიწყო. ნაშუადღევს კიდევ უფრო გაძლიერდა, ქარიც ამოვარდა, საღამოთი კი ქარბუქი მძვინვარებდა. მე ძალიან მეშინოდა, რომ ხალხი ამ ამინდში კრებაზე არ მოვიდოდა.

შებინდებისას ყველა სახლთან ჩამოიარეს და აუწყეს: „ჩამოსულია კომპარტიის კულტურული რაზმი. ხუთი საათიდან დაიწყება გამოსვლები, სიმღერები და ცეკვები. გთხოვთ, დაესწროთ!“ ჩვენთანაც მოვიდა მთლად თოვლით დაფარული ვიღაც უცნობი კაცი.

როდესაც მე იმ სახლში მივედი, სადაც კრებები ეწყობოდა, ხალხი უკვე თავმოყრილი იყო. მრცხვენოდა, რომ არავის დავენახე და უკანა ადგილი დავიკავე, მაგრამ აი, ტორა-სანიც გამოჩნდა. მე ციებიანივით ავცახცახდი. ტორა-სანმა მხარზე აკორდეონი გადაიდო, მას გვერდში ამოუდგა ახალგაზრდა ქალ-ვაჟი.

— მეგობრებო! — დაიწყო ტორა-სანმა, — მე წინათ თქვენს სოფელში ვცხოვრობდი და თქვენი სტუმართმოყვარეობით ვსარგებლობდი. მე ხასიმოტო-ტორაოს მეძახიან. შარშან ციმბირიდან დავბრუნდი, იქ ტყვედ ვიყავი, ახლა კი კვლავ თქვენთან მოვედი. მე მინდა გთხოვოთ, რომ მოთმინება იქონიოთ და გულდასმით მომისმინოთ...

ოთახი უცნაურად აგუგუნდა.

— ნუთუ ეს ის ტორა-სანია? იტოს ქმარი რომ იყო? — უკვირდა ხალხს.

ვიღაცამ ტაშიც კი დაუკრა.

— მე აკორდეონზე დაკვრა საბჭოთა კავშირში ვისწავლე, მაგრამ ახლა იაპონურ სიმღერას შევასრულებ. მას ეწოდება ღორის სიმღერა.

... მაშ ასე, ვიწყებ.

გაისმა ხმამაღალი ტაში. რატომღაც თავი უხერხულად ვიგრძენი, მინდოდა მიწა გამსკდარიყო და შიგ ჩავეტანე. ამავე დროს ჟრუანტელმაც დამიარა.

ტორა-სანი ამღერდა:

სიტყვა გითხრათ ერთი, ორი,
ცნობილი ვარ, როგორც ღორი,
მაგრამ მაწევს გულზე დარდი,
ფიქრთა ზღვაში გადავვარდი.
ღრუტ-ღრუტ.
ახალგაზრდა ვიყავ ადრე,
ვიწონიდი ექვს ფუთამდე,
მყიდულობდნენ მე კარგ ფასად,
ექვს ფუთს ზუსტად ექვს ათასად.
ღრუტ-ღრუტ.
არა მყავდა მჭამელს სწორი,
ვსუქდებოდი, როგორც ღორი,
და რვა ფუთი გავხდი წონით,
ფაფუკი და მოსაწონი.
ღრუტ-ღრუტ.
მაგრამ აი საოცრება.
უცებ ვიწყე ფასში კლება,
რვა ფუთიან ღორის ფასად
იძლევიან ხუთი ათასს.
ღრუტ-ღრუტ.
მაგრამ განა დარდით გავხდი?
ახლა ათი ფუთი გავხდი,
და დღეს ჩემში, — მიკვირს მევე, —
ოთხი ათასს... ძლივს აძლევენ?
ღრუტ-ღრუტ.

გაისმა ერთსულოვანი ხარხარი.

— მართალია! სწორედ ასეა! — ყვიროდნენ სხვადასხვა მხრიდან.

მემატება ხორციც, ქონიც,
უფრო დიდი ვხდები წონით,
მაგრამ რატომ ხდება ასე,
რომ კლებულობს ჩემი ფასი?
ღრუტ-ღრუტ.
პატრონს ადგას გასაჭირი
თვით ჩემთვისაც გასაკვირი:
სულ ძვირდება ჩემი კვება,
მე კი ფასი სულ მაკლდება.
ღრუტ-ღრუტ.
ქვეყანაზე როგორც ვატყობ,
უწესობა სუფევს მარტო,
და კიდევაც ვსკდები გულზე
და ხალხს სულ სხვა თვალით ვუმზერ.
ღრუტ-ღრუტ.
ღორობაზეც, ღრუტ-ღრუტ, მალე
მე აზრები შევიცვალე.

ხალხი გავარღვიე და ქუჩაში გამოვვარდი, არ მინდოდა ყველას გაეგონა ჩემი ტირილი, გავრბოდი პირდაპირ თოვლში, ვერაფერს, ვერაფერს ვხედავდი, ცრემლები ნაკადულივით მდიოდა თვალთაგან, ვერაფრით ვერ ვიკავებდი.

ჩემამდე აღწევდა სიმღერის ხმა და ერთსულოვანი ხმამაღალი ხარხარი. მე ავუჩქარე, გიჟივით მივრბოდი სახლისაკენ.

თოვლი და ქარი განუწყვეტლივ ძლიერდებოდა. ბოლოს ნამდვილი ქარბუქი დაიწყო. რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ, რას ვაკეთებდი ამ დროის განმავლობაში, არაფერი აღარ მახსოვს. მეგონა ჭკუაზე ვიშლებოდი.

უცბად კარები ხმაურით გაიღო, ფეხზე წამოვხტი. ქარისაგან მოხრილი, თავიდან ფეხებამდე თოვლში ამოგანგლული სამი კაცი შემოვიდა. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, ტორა-სანმა რომ ჩვენთან მოიყვანა, ბუხართან მივიდა:

— გვაპატიეთ შეწუხებისათვის... ორივე ზრდილობიანად მოგვესალმა.

ტორა-სანი ბუხარს მიუჯდა და ჩვენთან ერთად დაიწყო ჩაის სმა.

— გამოდის, რომ ამჯერადაც მომიხდება თქვენს ბატონთან შეჯახება, ალბათ, ბედმა ისურვა, რომ მოსისხლე მტრები ვიყოთ. მაგრამ ამჯერად საინტერესო იქნება ჩვენი ბრძოლა, — თქვა ტორა-სანმა და გაიცინა.

ის ადგა, მივიდა დედასთან და დაემშვიდობა.

— კარგად ბრძანდებოდეთ. ყველაფერი მოგვარდება...

ის სწრაფად იცვამდა ჯარისკაცის ფარაჯას. მე წამოვხტი...

— სად მიდიხარ ასეთ ქარბუქში? დარჩი, ტორა-სან.

— არა, მე მეზობელ სოფელში ვარ მისასვლელი, დავპირდი...

მან კარები გააღო და ქუჩაში გავიდა. მე დავედევნე.

— მეტს აღარ მოხვალ, ტორა-სან?

გონებადაკარგული მივვარდი და ხელზე ვეამბორე. თვალებიდან ცრემლები წამომცვივდა.

— ახლა ვერ დავრჩები, ისე კი, მოვალ...

მან სახეში შემომხედა.

— ნახვამდის.

ვერც კი მოვასწარი გონს მოსვლა, რომ ის გაიქცა, თოვლის კორიანტელში გაეხვია. თითქოს გავქვავდი, მერე უეცრად დავიკვნესე, თითქოს სიცოცხლეს დავემშვიდობე: „ტორა-სან!“ და ფეხშიშველი გადავეშვი მძვინვარე ქარბუქში. მეტის მოთმენა აღარ შემეძლო.

— ტორა-სან! ტორა-სან! — ვყვიროდი მე და ხმამაღლა ვქვითინებდი.

დამავიწყდა ყველა და ყველაფერი და უკან მივდევდი ტორა-სანს.

თარგმნა გულნარა ბახტაძემ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი გეწაძე

# თეთრი ფიქრის ჟამი

ფიქრები მიმავალსა და მომავალზე

ყოველი ახალი წლის დადგომა ბევრის და, მათ შორის, ჩემი წარმოდგენითაც პირმომცინარე, ხურჯინაკიდებული, ყმაწვილზე ხელჩავლებული, თოვლისფერთმიანი, სპეტაკწვერიანი ბერიკაცია, საქართველოში ახალი წლის მოსვლას ასეც ხატავენ ხშირად და ეს სიმბოლურადაც აღიქმება. ორთვალიანი ჭრელი ხურჯინი დრო-ჟამის სიმბოლოა: ზურგისკენ მოქცეულ თვალში წარსული ძევს, წინმოქცეულში — მერმისი. ხურჯინი ბერიკაცმა ყმაწვილს უნდა გადააბაროს. სპეტაკწვერიანი ბერიკაცი იგივე თოვლის ბაბუაა, მეკვლეა, მომლოცველია, რომელიც ხელცარიელი არასდროს მოდის. მისი დიდი ჭრელი ხურჯინი სავსეა არა მარტო ბავშვებისათვის მისართმევი საჩუქრებითა და ნუგბარ-ტკბილეულით, არამედ ყველას დამლოცავი ტკბილი სადღეგრძელოებით, კეთილი სურვილებით, მზისგულა ფიქრებით.

ჩვენში ახალი წლის შემობრძანებას მთა-ბარი ხან თოვლიანი ხვდება, ხანაც თოვლის თეთრ საბანში გაუხვეველი. მაგრამ ციდან თეთრვარსკვლავა ფიფქები მოფარფატებს თუ არ მოფარფატებს, საახალწლო ფიქრის აკიდო-ჯაგანი მაინც თეთრია. ამდღევანდელი თითქმის ყველას ფიქრი ახალწლის მეკვლე-შემომლოცველი თოვლის პაპა-ბაბუის წვერ-ულვაშის ფერია — ახალი, ფაფუკი თოვლივით თეთრი და სპეტაკია, ოღონდ, ზამთრის გულცივი თოვლისაგან განსხვავებით, მუდამ თბილია და ისეთივე საამოც, ბაბუა ბუხარს ახალწლის ღამღევს მთელ დღეს რომ გვიგუზგუზებდა და თან ცეცხლს შეჩიჩხვირებით უამრავ ნაპერწკალს აყრევინებდა და იმ ნაპერწკლებივით სიკეთის სიმრავლეს ჩაუთქვამდა.

ამ დღეს მუდამ ახლავს ერთდროულად ორი სანუკვარი დიდი სითბოსინათლე: მეკვლე ბაბუის ღიმილისა და აკვანში მწოლარე ჩვილის ღიმილისა, მიმავლისა და მომავლისა. ეს თვითონ წუთისოფლის ღიმილის სითბოცაა, ბერიკაცსა და ჩვილს რომ აერთიანებს, მიმავლისა და მომავლის გზის ერთდროული დალოცვის სითბოცაა, ძველი წლის მოტანილი სიკეთისა და ახალი წლის დაპირებული სიკეთის ერთდროულად დალოცვის სითბოცაა.

ამ დღეს ცაც და მიწაც იხუნძლება თეთრფიქრა სურვილების აკიდოჯაგნებით... და მისი მხილველნი დიდებიც თითქოს ჩვენ-ჩვენ სიყმაწვილეს ვუბრუნდებით ოცნებებით. როგორც პატარებს სწამთ, რომ თოვლის ბაბუამ მოუტანათ ნაირნაირი საჩუქარი ღამით, როცა მათ ტკბილად ეძინათ და დილით დედ-მამა სწორედ იმ საჩუქრებს ურიგებს, ჩვენც იმ ბავშვებივით ვიჯერებთ, რომ ახალწელიწადს ჩათქმული სურვილები აგვისრულდება. ეს ხომ იგივე იმედია, წუთისოფლის გზის მარადიული მანათობელი.

ბაბუაჩემი მიწის კაცი იყო, მე კალმის კაცობა მარგუნა ბედმა, მაგრამ ის სურვილები, რაც ბაბუაჩემს ენთო გულში, არც ჩემთვის არის უცხო.

დღეს ქართული მთების მიწა-წყალი თითქმის დაცარიელებულია, იქ აღარც ადამიანი ჩანს, აღარც ცხვარძროხა და სხვა საქონელი. ჩემი სადღეისო ფიქრია, ჩვენს მთებში კვლავ მიმოდიოდეს ქართველი მწყემსი, ცხვარ-ძროხას ბლომად აძოვებდეს და არ ეშინოდეს, რომ გადამთიელი თუ შინაური კაც-მგელი, ყაჩაღი, მოსტაცებს. მაშინ ქართველ კაცს საძებარი აღარ ექნება აღარც ხორცი, აღარც ყველკარაქი, აღარც მამასისხლად გაუხდება საყიდელი შორეთიდან ვილაცების შემოტანილი სურსათი.

ჩვენი მამა-პაპა ჩვენს მიწაზე მუყაითი შრომა-გარჯით თავს თვითონვე ირჩენდა. რატომ არ უნდა შევიძ-

ლოთ ეს ჩვენც, მათმა შთამომავლებმა? განა ცოტაა ამჟამად ჩვენში დაუსაქმებელი მიწა, უქმად ყოფნით გული რომ უკვდება? თუ მივხედავთ, ჩვენივე მიწა მოგვცემს იმდენ ჭირნახულს, არ დავრჩებით იმის შემყურედ, მავანი ოკეანის გადაღმეთიდან თუ უფრო ახლოდან სამოწყალოდ, ამომავალი სულის ჩასაბრუნებლად, ლუკმა-პურს გამოგვიგზავნისო. მიწის ქვეყანად მონათლულ საქართველოს, ვარძიის, სვეტიცხოვლის, გელათის, ნიკორწმინდის თუ სხვა უამრავი მონასტრისა და ციხე-სიმაგრის აღმაშენებელ ერს, ღმერთო ჩემო, სხვისი სარჩენი რა გვჭირს?!

მამაზეციერის იმედი ნუ მოგვეშალოს, მაგრამ ღმერთთან ერთად, დაე, ჩვენი ხელების მუყაითი გარჯის იმედი ვიქონიოთ.

გვიმრავლოს ჭირნახულის მომყვანი ხალხი!

ბაბუაჩემს ახალი წლის დამდეგს თოფი არასდროს უსროლია — ვაითუ დაგვეკვებოსო. საერთოდაც, ახალ წელს ჩვენში თოფ-იარაღის აბათქუნება, ეტყობა, ვიღაცების წამხედურობით გვიან დაიწყეს. ვინაიდან ახალი წლის შემოლოცვა დაბედებისაა, ნუ დავუბედებთ ნურცერთ წელიწადს ნურსად თოფის სროლას. მავანი ამბობს: თოფს ძველ, მიმავალ წელიწადს ვესვრიო. მერედა, რატომ, რას ვემართლებით, რას ვერჩით, ადამიანებო? ჩავლილმა ძველმა წელიწადმა სიავესთან ერთად განა სიკეთეც არ მოგვიტანა? რატომ უნდა ვესროლოთ თოფი იმ სიკეთეს და აქვე, ახალ წელიწადს ჰაერი თოფის წამლის სუნით რატომ ავუმყრალოთ?

მე, დიდი ომის ჯოჯოხეთში ოცდაერთ ბეწვის ხიდზე გამოვლილ კაცს, არც ის მომწონს, ბავშვის დაბადებას რომ ხვდებიან თოფის სროლით, აქაოდა, ჩვილის სულიდან ეშმაკს განაგდებსო. ყველა ბავშვი ანგელოზად იბადება და ანგელოზთან ეშმაკს რა ხელი აქვს?

მით უმეტეს, თოფ-იარაღი თავისთავად ეშმაკის მოგონილია და ეშმაკს სადმეიდან ეშმაკის მოგონილი თოფით რომ ვერ გავაგდებთ, ეს ხომ უტყუარი ჭეშმარიტებაა და ყველამ უნდა ვიცოდეთ. მავანიც ასე ამბობს: თოფს ჩვილის სულიდან ეშმაკის გასაგდებად კი არ ვისვრი, ბავშვის გაჩენისას ოჯახიდან ეშმაკი და მაცილი რომ გავაგდოო. არც ეს არის სწორი სიტყვა.

მოყვასნო, მოვეშვათ თოფ-იარაღის ბათქუნს, ყველამ ჩვენ-ჩვენ სულში ჩავიხედოთ და შიგ რა ავიც ჩაბუდებულა, რა ეშმაკეული უკეთურობაც გვჭირს შინ თუ გარეთ, სასხვისოდ თუ საჩვენოდ, უთოფოდ მოვიშოროთ, საკუთარ, კერძო სულში შემომძვრალ-შემოპარებული ყველა ეშმაკი თოფ-იარაღის დაუქუხებლად დავაფრთხოთ და სამუდამოდაც განვდევნოთ. ეშმაკს. თოფ-იარაღისა არ ეშინია, პირიქით, მის ქუხილზე მრავლდება, როგორც ნაწვიმარზე შხამა სოკო. თოფი ეშმაკს კი არა, ანგელოზს აფრთხობს ადამიანის სულში და ზოგჯერ აცარიელებს კიდევაც. დაე, ყველა ადამიანის სულიდან უთოფოდ განვდევნოთ ეშმაკი და შიგ მხოლოდ ანგელოზები დავტოვოთ — იგივე კეთილი სურვილების მგალობელი ლამაზი ჩიტები.

ქართულ მიწა-წყალზე ისტორიული თუ ახლო ხანის ხიზანი მრავლდება და მრავლდება, თვითონ ქართველობა კი, დასამალი რაა, თითოოროლა ბავშვის გაჩენით კმაყოფილდება. ეს შეიძლება მომავალში ავბედითად შემოგვიბრუნდეს, თუ მისი შედეგი ამთავითვე არ გავითვალისწინეთ. წინათ მომხდური თოფ-იარაღით ცდილობდა ჩვენი მიწა-წყლის დაპატრონებას, ახლა ხიზანს შეუძლია ბალღა-ბოსტნეულით და ნაშიერის სიმრავლით უომრად გაგვიბატონდეს და ქართველები ჩვენს მამა-პაპეულ მიწაზე უმცირესობად გვაქციოს. ეს საფრთხე მოგონილი არაა, რეალურია.

რა თქმა უნდა, ამას იმ გოგო-ბიჭების გასაგონად ვამბობ, ვისაც საქართველო გულით უყვარს და მისი მერმისის ბედ-იღბალი ჭეშმარიტად აფიქრებს.

ადამიანი შვილთან ერთად ხელახლა თვითონაც იბადება და იბადება იმდენჯერ, რამდენ შვილსაც გააჩენს. ეს არის მისი გაახალგაზრდავების ყველაზე უტყუარი ელექსირი, მისი სულიერი და ხორციელი გალამაზების ელექსირიც. ყველა დედა წმინდანად ინათლება, თანაც იმდენჯერ, რამდენ შვილსაც იყოლიებს. რაკი ყველა ბავშვი ანგელოზად იბადება, განა შეიძლება ანგელოზის მშობელი თვითონაც წმინდანი არ იყოს?

მინდა წმინდანი ქართველი დედების გამრავლების სადღეგრძელო შევსვა, ქორწილების და ძეობების, ქართული აკვნების გამრავლების სადღეგრძელო დავლიო! ოღონდ, მარტოოდენ სუფრაზე არ დარჩენილიყოს ეს გულწმინდა სადღეგრძელო, ქართველ ბავშვთა ჟრიამულით გაგრძელებულიყოს იგი საქართველოს ბარშიც და მთაშიც!

კაცთა წუთისოფელი მიაბიჯებს დრო-ჟამის მარადიულ გზაზე და ადამიანს არც სალხინო ელევა, არც საწუხარი.

გვემრავლოს სალხინო და შემცირდეს საწუხარი!

ხშირად ერთდროულად მსმენია: ერთს ხელისჩაქნევით უთქვამს — ადამიანი არაფერიაო, მეორეს სიამაყით წამოუძახნია — ადამიანი ყველაფერიაო. თითქოსდა ურთიერთსაწინააღმდეგო აზრია, მე კი ორივე ჭეშმარიტებად მიმაჩნია. მავანი ადამიანი მართლაც არაფერია, მავანიც — ყველაფერია. ვისი სიცოცხლეც მის საფლავთან თავდება, არაფერია, ვისაც სიცოცხლე საფლავის ზემოთ რჩება — ყველაფერია.

ადამიანის სიცოცხლის ღირსება, უპირველეს ყოვლისა, იმით იზომება, რა შემატა ან გამოაკლო თავის სოფელ-ქვეყანას, თავის ერს, რა შეიცვალა სამყაროში ამქვეყნად მისი მოსვლა-წასვლით. თუ არაფერი, მაშასადამე, ფუჭად უცხოვრია, არაფერი ყოფილა. თუ მეტ-ნაკლებად რაიმე შეიცვალა, მაშასადამე, მის ცხოვრებას ამაოდ არ ჩაუვლია, ყველაფერი ყოფილა.

ხშირად ვმღერით სალხინო სუფრაზეც კი: წუთისოფლის სტუმრები ვართ, ჩვენ წავალთ და სხვა დარჩებაო. მაგრამ, მე თუ მკითხავთ, ნამდვილი ადამიანი წუთისოფლის არა მარტო სტუმარი, მასპინძელიცაა. ვინაიდან წუთისოფელს ესტუმრა, თვითონაც სიკეთით უნდა გაუმასპინძლდეს — სამზეოში დასატოვებელი მადლიანი საქმით. ხოლო რა არის მადლიანი საქმის სიკეთე? არც მეტი, არც ნაკლები, რაც მამა-პაპამ დაუტოვა, კი არ მოაკლოს, მიუმატოს, გააბევროს, რაიმეთი გაამდიდროს. ამრიგად, ყველა ჭეშმარიტი ადამიანი მომავლის მასპინძლადაც ინათლება, რაკი თავის შექმნილ, თავის ნარუდუნევ სიკეთეს უტოვებს მერმისს. ვინც არაფერს უტოვებს, წუთისოფლის სტუმრად მხოლოდ ის რჩება. არადა, ადამიანის საწუთროში მოსვლის მთავარი მიზანი და დანიშნულებაა, არა მარტო სტუმრობა წუთისოფლისა, უფრო მეტად მასპინძლობა. საწუთროს მასპინძლად ქცევა მისი სტუმრობის უპირველესი გამართლებაა, მხოლოდ ამის წყალობით არ თავდება მისი სიცოცხლე საფლავთან. მთავარია, ამქვეყნიური გზა ისე გაიარო შენი სიცოცხლე შენთვის მოზომილ წუთისოფელში, შენს აკვანსა და კუბოს შუა არ ჩაეტიოს, მიწის ზემოთაც დიდხანს დაგრჩეს სამზეოს სახსოვრად. ასე კი მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ შენი წინაპრის დანატოვარ მატერიალურ ან სულიერ სიკეთეს არაფერს მოაკლებ და შენი შრომით ბევრს თუ ცოტას მაინც მიუმატებ. გვემრავლოს ასეთი ქართველი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰოლივუდი — „მისი გუგულის ბუდე“



კინოში მუშაობა განთქმული ფირმის „მეტრო გოლდუინ მეიერის“ დამტარებლად დაიწყო. „ხართ თუ არა ამჟამად ყველაზე ძლევამოსილი პიროვნება ჰოლივუდში?“ — ჰკითხა მას ფრანგმა ჟურნალისტმა ფრანსუა ფორესტიემ და შემდეგი პასუხი მიიღო: „კაცმა რომ თქვას, რატომ არ უნდა იყო ძლევამოსილი იმ სამყაროში, რომელშიც იმყოფები?!“ კინემატოგრაფიულ ელიტაში ისევე ამაყად და გამომწვევად იქცევა, როგორც მისი გმირი ფილმისა „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“. ეს ჯეკ ნიკოლსონი გახლავთ.

ამერიკის პრეზიდენტ ბილ ქლინტონის ინაუგურაციაზე სხვა გამოჩენილ პიროვნებათა შორის თეთრ სახლში ნიკოლსონიც მიიპატიჟეს.

პრეზიდენტის დაცვის აგენტმა, რომელმაც წინასწარ შეისწავლა მსახიობის დოსიე, აღიარა: ნიკოლსონისადმი გამოთქმული ერთადერთი პრეტენზია იყო ის, რომ ჯეკი ხმამაღლა და ბევრს იცინის...

საინტერესოა ერთი ბიოგრაფიული წვრილმანი, რომლის შესახებ „ჰოლივუდის უკანასკნელმა ხონთქარმა“ თავად მხოლოდ 39 წლის ასაკში გაიგო: „ქალი, რომელსაც თავის დად მიიჩნევდა, სინამდვილეში დედამისი ყოფილა; ვისაც „დედას“ უწოდებდა, ბებია აღმოჩნდა. სამწუხაროდ, იმ დროისათვის ორივე უკვე სასაფლაოზე ესვენა. ამ თემას გვერდს არ უვლის არცერთი ჟურნალისტი და ნიკოლსონიც გულახდილად პასუხობს: „მე ხშირად ვფიქრობ იმაზე, რომ ჩემი „დის-დედის“ ცხოვრება მშვენიერი სიუჟეტია წიგნისათვის. ჯერ კიდევ დიდი დეპრესიის წლებში სულ ახალგაზრდა ქალიშვილი ცეკვავდა მაიამის ერთ-ერთ მიუზიკ-ჰოლში; ომის პერიოდში მუშაობდა აეროდრომის დისპეჩერის თანაშემწედ, სადაც გაიცნო ჩემი მომავალი მამა, მფრინავი-გამომცდელი. სხვათა შორის, მე ვიყავი, ალბათ, პირველი სამოქალაქო პირი — ყოველ შემთხვევაში, პირველი ბიჭუნა შტატებში, რომელიც რვა წლის ასაკში დაფრინავდა რეაქტიული თვითმფრინავით. რას წარმოვიდგენდი, რომ საჭესთან მამაჩემი იჯდა! დედაჩემმა მასთან დაშორებისას დამიმალა ჩემი მშობლების ვინაობა. რატომ? შესაძლოა, ამაში გამოვლინდა მისი თავისებური ფემინიზმი“... ეს ამბავი რაღაცით მართლა გავს ფილმ „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინას“ ერთ ეპიზოდს.

რაც შეეხება თვით ჯეკ ნიკოლსონს, მასთან დაკავშირებულია „ქალების ისტორიების“ ჰოლივუდისთვისაც კი იშვიათად უსასრულო რაოდენობა. მას ჰყავს ოცდაათი წლის ქალიშვილი, რომლის დედას იგი დაშორდა ბავშვის დაბადებისთანავე. ამჟამად ცხოვრობს თავისი ქალიშვილის მეგობართან რებეკა ბრუსართან, რომელმაც ორი ბავშვი გაუჩინა. მანამდე კი ჩვიდმეტი წლის განმავლობაში გრძელდებოდა მისი „საკმაოდ ბობოქარი“ ქორწინება ცნობილი კინორეჟისორის ჯონ ჰიუსტონის ქალიშვილთან ანჟელიკა ჰიუსტონთან (ჩვენს ეკრანებზე გადიოდა ჯონ ჰიუსტონის ფილმი „პრიცის ოჯახის პატიოსნება“ ანჟელიკას და ჯეკის მონაწილეობით).

...„ყველაფერი ვცადე: ქორწინება, განქორწინება, მყავდა არაოფიციალური ცოლებიც, ხან მე ვიღაცას მივატოვებდი, ხან მე მიმატოვებდნენ... განვიცადე პოლიგამია. ალბათ, მე არა ვარ ოჯახური ცხოვრებისათვის გაჩენილი. მეამბოხეობა, კონფორმიზმისადმი სიძულვილი, როგორც ჩანს, გენებში მაქვს. მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის მინდოდა მრავალშვილიანი ვყოფილიყავი, მაინც დამოუკიდებელი ცხოვრება ვამჯობინე“...

სატანური ღიმილი და შავი სათვალე საიმედო საფარია ადამიანის სიმშვენიერისა მაშინაც კი, როდესაც იგი თითქოსდა ბოლომდე გულახდილია.

— თქვენ მოიხვეჭეთ ურყევი ნონკომფორმისტის სახელი. ცნობილია, თავის დროზე სიამოვნებით ეწეოდით მარიხუანას. რას იტყვით სხვა ნარკოტიკებზე? — ჰკითხა ერთმა ჟურნალისტმა. „დღესაც არ ვიტყვი უარს ნარკოტიკების მოზრდილ დოზაზე. ახალგაზრდობაში, მართლაც ყველა გავსინჯე... ნარკოტიკები კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია. გაიხსენეთ თუნდაც ის საკულტო როლი, რომელიც მათ შეასრულეს უძველეს და ანტიკურ საზოგადოებაში. მაგრამ დღეს ლაპარაკია ნარკობიზნესზე, რომელიც დამღუპველია საზოგადოებისათვის. იმისათვის, რომ ავიცილოთ ეს საშიშროება, უკლებლივ ყველა ნარკოტიკს უნდა დავუხსნათ „მწვანე გზა“. ჩვენ ვერ გავითვალისწინეთ ოციანი წლების ალკოჰოლის აკრძალვის სავალალო შედეგი. ამიტომაც იატაკქვეშა ნარკობიზნესის შემოსავალი დღეს მიახლოებით შეერთებული შტატების ბიუჯეტის დეფიციტის ტოლია, ხოლო ჩვენი ციხეების სამი მეოთხედი სავსეა მამაკაცებითა და ქალებით, რომლებიც ასე თუ ისე, ნარკოვაჭრობასთან დაკავშირებულნი არიან. ამ ომს სახელმწიფო ატომური იარაღის მეშვეობითაც ვერ მოიგებს. თუმცა, მე არც ისეთი მიამიტი ვარ, რომ დავიჯერო, თითქოს ქლინტონის ადმინისტრაციამ ამ მხრივ რაიმე შეცვალოს ხელისუფლების პოლიტიკაში“.

ნიკოლსონი სერიოზულად თვლის, რომ საუკეთესოა ჰოლივუდში. მაგალითებად მოჰყავს ისეთი ფილმები, როგორიცაა „ორი ჯეიკი“ („ჩინური კვარტლის“ გაგრძელება), „პროფესია — რეპორტიორი“, „კაშკაში“ და სხვა. მასთან თანამშრომლობენ გამოჩენილი რეჟისორები მიქელანჯელო ანტონიონი, მილოშ ფორმანი, რომან პოლანსკი, სტენლი კუბრიკი, ელია კაზანი.

ჯეკ ნიკოლსონი 56 წლისაა (დაიბადა 1937 წლის 22 აპრილს). კინემატოგრაფიული კარიერის გაფურჩქვნა, წარმოუდგენელი ჰონორარები (დღეში ნახევარ მილიონ დოლარამდე) საკუთარ სახლში შაგალის, სუტინის, პიკასოს ტილოებით — რას მოისურვებდა კიდევ კინომსახიობი, რომელმაც უკვე სცადა ბედი როგორც სცენარისტმა და რეჟისორმა?.. ისევ შავი სათვალე და ირონიული ღიმილი: „მე მივაღწიე გარკვეულ პოზიციას კინოში, გადავიღე მეტი წარმატებული სურათი, ვინემ სხვებმა. ვიცოდი რა მსურდა და როგორ მიმეღწია. ძალაუფლება გამაჩნია. მაგრამ თავისთავად ძალაუფლება არ მაინტერესებს, იგი მჭირდება მხოლოდ იმისათვის, რომ გადავიღო ფილმები, რომლებიც მე მსურს“...

იური ვაჩნაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იმედიანად გევლოთ!

რეპეტიციის დაწყებამდე რამდენიმე წუთი რჩება.

ფაცი-ფუცობენ ბიჭები, გარბი-გამორბიან. ზოგი ქამარს ისწორებს, ზოგიც თასმებს იკრავს, ზოგიც სამუხლეს იკეთებს. გოგონები უფრო მოკრძალებულები ჩანან, უხმაუროდ, ფეხაკრეფით შემოდიან და მორიდებით იკავებენ სარეპეტიციო ადგილებს, რამდენიმე მათგანი გვერდზე გამდგარა და სხვადასხვა ილეთს იმეორებს...

იქვე, შორიახლო, ფანჯრის რაფას მიყრდნობილი, მაღალი, რკინისფერი პირისახის მამაკაცი ისე ადევნებს თვალს მათ მოძრაობას, გეგონებათ, ერთმანეთს პირველად ხვდებიანო; ქალი კი ხან ერთს გადაუსვამს თავზე ხელს, ხან მეორეს, ზოგსაც სიყვარულით დატუქსავს, რაღაც შენიშვნას აძლევს, შემდეგ კი გულში იკრავს...

ფანჯარასთან მდგომი მამაკაცი ერთხელ კიდევ დახედავს საათს და გამართული ნაბიჯებით დარბაზის შუაგულისაკენ მიემართება.

— მოეწყვეთ! აბა, დავიწყოთ!

ერთი შეხედვით, მკაცრი და შეუვალია მისი პირველი განკარგულებები.

ორმოცდაათამდე ბავშვი თითქმის ერთარსებად იქცევა: მუსიკის პირველი აკორდებიც გაისმის და წუთის წინ სულგანაბული პატარები, თითქოს ჯადოსნური სული შთაჰბერესო, ერთბაშად აცეკვდებიან.

როკავენ, ხტიან, ტრიალებენ ავაზასავით შემართული ბიჭები, დანარნარობენ და დასრიალებენ ტანკენარი გოგონები, დახვეწილი და მოქნილია მათი ყოველი მოძრაობა, ლაღი და მსუბუქია ყოველი მიხვრა-მოხვრა. თითქოს მეჯლისი გაუმართავთო, ისე საზეიმოდ გამოიყურება სარეპეტიციო დარბაზი.

ასეა ყოველდღე. დარსა თუ ავდარში, თოვლსა და წვიმაში, სიცივესა თუ სიცხეში.

— ჩვენთან მუშაობა არც ისე ადვილია, წელიწადში დასვენების მხოლოდ ერთი დღე გვაქვს, — ახალი წელი, — იტყვიან საუბრისას ამ ანსამბლის სულისჩამდგმელები და დასძენენ, — ამიტომ, ბავშვს თუ ძლიერი ნებისყოფის, ფიზიკურად ჯანმრთელი და ყოველმხრივ მობილიზებული არ არის, ძალიან გაუჭირდება.

მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სახლის ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი"...

ხელმძღვანელები ნუნუ ღვინერია და ჯემალ რეხვიაშვილი.

ეს სახელები დღეს კარგადაა ცნობილი არა მარტო ჩვენთან, ამ მშვენიერი ხელოვნების მოყვარულთა წრეებში, არამედ უფრო შორსაც, ახლო თუ შორეულ უცხოეთში.

ერთ ანსამბლში ცეკვავდნენ დაოჯახებამდეც და მერეც არ უღალატეს მათთვის საყვარელ პროფესიას. ერთად ემსახურებიან ქართული ხალხური ქორეოგრაფიის განვითარებას.

გასაოცარია ის, რომ ისინი არც კულტურის დამსახურებული მუშაკები არიან და არც ხელოვნების დამსახურებული მოღვაწენი, თუმცა, მათი საქმე უფრო მეტზეც მეტყველებს.

პრიზები, მედლები და ჯილდოები, რომელიც მათ ანსამბლს მიენიჭა, ამის უტყუარი მაჩვენებელია.

ასე იყო ანსამბლის ჩამოყალიბების პირველი წლებიდან, ასეა დღესაც.

ანსამბლის ხელმძღვანელებს ემაყებათ, რომ ილიკო სუხიშვილის სახელობის პრიზს გასული წლის დეკემბერში ნინო რამიშვილის სახელობის გარდამავალი პრიზიც მიემატა, ხოლო II რესპუბლიკურ ინდივიდუალურ შემსრულებელთა კონკურსზე „იმედის" წევრებს ოქროს მედლები ერგო.

ქართული ხელოვნების ამ მშვენიერმა დესპანებმა ცეკვით შემოიარეს მსოფლიოს მრავალი ქვეყანა. იყვნენ იუგოსლავიაში, ჩინეთში, თურქეთში, ისრაელში, ინგლისში, გერმანიაში... კონცერტები ძირითადად საქველმოქმედო ღონისძიებებს მიეძღვნა.

მომავლის გეგმებიც საინტერესო და მრავალფეროვანია. პირველად ანსამბლ „იმედს" მაროკოში მიელიან ერთთვიან გასტროლებზე, შემდეგ ისევ ესტუმრებიან ისრაელს, შემოდგომაზე კი ორი თვით აშშ უმასპინძლებთ.

ძნელია, წინასწარ განჭვრიტო, რა წარმატებებს მიაღწევენ მომავალში ეს ათი-თორმეტი წლის გოგო-ბიჭები, გაყვებიან თუ არა თავიანთი ბავშვობის გატაცებას შემდგომშიაც, თუმცა, ერთის თქმა დანამდვილებით შეიძლება: დათო ლეკიშვილს, კოტე ხოფერიას, ლაშა ხუციშვილს, ნათია ლორთქიფანიძეს, თეონა გობეჯიშვილს, ვახტანგ ზედელაშვილს, გიორგი ალიმბარაშვილს, ქეთი ღონიაშვილს, იოვანე თვალავაძესა და მათ მეგობრებს ყოველთვის დაუვიწყარ მოგონებად გაჰყვებათ ანსამბლ „იმედში" ერთად გატარებული ბავშვობის, მეგობრობისა და ურთიერთ სიყვარულის ეს ლამაზი წლები; და თუ იმათაგან თუნდაც ერთი-ორი მაინც გაჰყვება ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის გაკვალულ გზას, ანსამბლის მისია შესრულებულად ჩაითვლება, ნუნუ ღვინერიასა და ჯემალ რეხვიაშვილის ამაგი კი — დაფასებულად.

იმედიანად გევლოთ „იმედის" გოგო-ბიჭებო!

**ნუნუ მაღრაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვანიტას



* * *

თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე ბრიტანეთის მონარქიას რეალური საფრთხე დაემუქრა. მემარცხენე დეპუტატმა, ბილი ბენმა საჭიროდ სცნო ქვეყნის გარდაქმნა საპრეზიდენტო რესპუბლიკად, სადაც ძალაუფლება გადაეცემა სახალხო პალატას. დეპუტატის მოსაზრება დაუყოვნებლივ გადასცეს დედოფალ ელიზაბეტს, მაგრამ მან ამ ფაქტის კომენტარისაგან თავი შეიკავა.



* * *

ცხოველებისადმი უსაზღვრო სიყვარულმა შეუძლებელი შესძლო — 20 წლის განშორების შემდეგ ბრიჯიტ ბარდო კვლავ დაუბრუნდა ტელეეკრანს. ამჯერად ტელერეჟისორია და წამყვანის ამპლუაში მოგვევლინა: ცნობილი მსახიობი უძღვება გადაცემას სათაურით „SOS", რომელიც ყოველ კვირას გადის ეთერში და რომლის მთავარი მოქმედი გმირები გადაშენების პირას მყოფი ჩვენი უმცროსი მეგობრები არიან.

* * *

მართლაცდა უჩვეულო გამოფენა გაიხსნა ვენეციაში. მრავლისმნახველ იტალიელებს ვერაფრით გააოცებ, მაგრამ გამოფენის სახელწოდებამ — „პროსტიტუციის ისტორია ვენეციაში" — ურიცხვი მაყურებელი მიიზიდა. წარმოდგენილი ექსპოზიცია მართლაც მრავალფეროვანი იყო. როგორც გაირკვა, ამ უძველესი პროფესიის ვენეციელი წარმომადგენლების საყვარელი ფერი ყვითელი ყოფილა. სწორედ ყვითელი მოსასხამი და თავისუფალი ჩაცმულობა გამოარჩევდათ მათ ხალხში. მაგრამ ეს ქალბატონები მხოლოდ პროსტიტუციით როდი ყოფილან დაკავებულნი. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სიმარჯვეს იჩენდნენ სხვა საქმეებში — მოხერხებულობისა და ნიჭის წყალობით საზოგადოების მაღალ წრეებშიც აღწევდნენ. მაგალითად XVI საუკუნეში განსაკუთრებით გაუთქვამს სახელი ვერონიკა ფრანკოს. და არა მარტო იმით, რომ ტინტორენტოს საყვარელი ყოფილა, თურმე ვერონიკას მშვენიერ პოეტურ შემოქმედებას თანამედროვეთა შორის ბევრი სცემდა თაყვანს.

ჩოგბურთელი მონიკა სელეში არა მხოლოდ შესანიშნავი სპორტული მონაცემებით იპყრობს გულშემატკივართა ყურადღებას. იგი ჯერ მხოლოდ 19 წლისაა და, როგორც იტყვიან, მთელი ცხოვრება წინ აქვს. მონიკა კოლეჯში სწავლობს და კარგ სტუდენტად ითვლება. თუმცა თავად სპორტსმენი სერიოზულად ოცნებობს ფოტომოდელობაზე, როგორც აღვნიშნეთ, მისი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზიკური მონაცემები — 178 სმ. და 57 კილოგრამი — სავსებით აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. სელეშიც იმედს არ ჰკარგავს და აღიარებს, რომ მისი გატაცებაა შანელი, თუმცა არანაკლებ იზიდავს არმანის მოდელებიც.



## დაიანა ეტიკეტის გარეშე

კითხულობს ცოტას; უყვარს ძილი; ამბობს იმას, რასაც ფიქრობს; სძულს ცხენები, კლასიკური მუსიკა, მუზეუმები; იტაცებს როკი და დისკოთეკა; ანტიკომფორტისტია, ეტიკეტის მიმართ სრულიად გულგრილი. „რატომ არ შეიძლება მეც მყავდეს საყვარელი და თანაც ზანგი?" აცხადებს გამომწვევად, ასეთი გახლავთ პრინცესა დაიანა, დიდი ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრის ჩარლზის ყოფილი მეუღლე.

ათი წლის ერთად ცხოვრების შემდეგ მათი ქორწინება გაყრით დასრულდა. კონსერვატორობით ცნობილ ბრიტანეთში დაიანა საოცრად პოპულარულია. როგორც სოციოლოგიური გამოკვლევა გვიჩვენებს, ბრიტანელებს მობეზრდათ ერთფეროვანი უგემოვნოდ ჩაცმული და არცთუ მომხიბლავი გარეგნობის დედოფალი. მათი სიმპატიები ბალისიანი, სიცოცხლით სავსე დაიანასაკენ იხრება.

## ჯანმრთელობა და ფერები

როგორც ამტკიცებენ, ჩვენს გუნება-განწყობას და ჯანმრთელობაზე გარკვეულ გავლენას ახდენს ფერები. ქრომოთერაპია ანუ ფერებით მკურნალობა კომპლექსური მეცნიერებაა და ხანამ ექიმები სერიოზულ წარმატებებს მიაღწევდნენ, ისღა დაგვრჩენია ამ მწირი ცნობებით დავკმაყოფილდეთ.

წითელი ფერი, მაგალითად, გვმატებს ენერგიას და ხელს უწყობს სისხლის მიმოქცევას. იგი პასიური ორგანოების სტიმულატორადაც გამოიყენება. წითელი ტანსაცმელი და სათამაშოები სუსტ პასიურ ბავშვებს აქტიურებს; წითელი ფერის საკვები (პომიდორი, წითელი ჭარხალი, ალუბალი, ყურძენი, საზამთრო) რკინის მაღალი შემცველობის გამო დადებით ზეგავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

ასთმითა და სასუნთქი გზების დაავადებებით შეპყრობილი ადამიანის გარშემო ნარინჯისფერი უნდა სჭარბობდეს.

ყვითელი ფერი ზრდის კუნთების შრომისუნარიანობას და ხელს უწყობს ნერვული უჯრედების განვითარებას.

მწვანე ზეგავლენას ახდენს მთელს ორგანიზმზე. აღინიშნება მწვანე ფერის სასიკეთო მოქმედება პერიფერიულ ნერვიულ სისტემასა და მხედველობაზე.

ცისფერი შესანიშნავი დამამშვიდებელია. იგი ადუნებს თავის ტკივილსა და გულის ნახევარსფეროების აქტიურობას.

ლურჯი ანელებს სწრაფ მაჯისცემას.

იისფერი ხელს უწყობს სისხლში ერითროციტების ჩამოყალიბებას.

ვარდისფერი ზეგავლენას ახდენს გონებაზე. თუ უძილობა გაწუხებთ, ერიდეთ ვარდისფერს.

მოცარტის გარდაცვალებიდან თითქმის 200 წლის შემდეგ ფარდა ეხდება მის საიდუმლოებით მოცულ სიკვდილს. ბრიტანელმა ექიმმა, იან ჯეიმსმა „სამედიცინო აკადემიას" წარუდგინა საკუთარი მოსაზრება დიდი კომპოზიტორის გარდაცვალების შესახებ: „სალიერის არ მოუკლავს მოცარტი. იგი ექიმის უნებლიე შეცდომის მსხვერპლი გახდა. სიკვდილის მიზეზი იყო ვერცხლისწყლისა და სტიბიუმის ნარევი, რომელსაც დეპრესიისა და მაღალი სიცხის სამკურნალოდ იყენებენ. მუსიკოსი მწვავე ფილტვების ანთებით და თირკმელების უკმარისობით გარდაიცვალა. დღეს ცნობილია, რომ ვერცხლისწყალი აზიანებს ფილტვებს, ხოლო სტიბიუმი წამლავს ორგანიზმს".

ასეა თუ ისე, თემა „მოცარტი-სალიერი" ხელოვანთა არაერთი თაობის ყურადღების საგნად იქცა. ცნობილია ისიც, რომ მოცარტს ორი სახელგანთქმული ექიმი მკურნალობდა. საკითხავია, რომელმა მათგანმა მისცა კომპოზიტორს წამლის სასიკვდილო დოზა.

იტალიურიდან თარგმნა
თამარ ქლენტმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კროსვორდი



**თარაზულად:** 1. ძველი ქართული სატირიკული სასახიობო ჟანრი; 3. აზერბაიჯანული ხალხური მუსიკის კილოების ზოგადი სახელწოდება; 5. ჩქარი რიტმული ტემპის ვირტუოზული პიესა ფორტეპიანოს ან ორკესტრისათვის; 7. იმედი; 8. ხელოვნების თვითმოქმედი ძალების დიდი გამოსვლები, მათი სახალხო დათვალიერება; 9. ბგერითი აღმავალი ან დაღმავალი თანამიმდევრობა რამდენიმე ოქტავის ფარგლებში; 13. ევროპის მდინარე; 16. თხრობითი ხასიათის ვოკალური ან ინსტრუმენტული ნაწარმოები; 17. ავსტრიელი კომპოზიტორი; 18. თეატრში შესასრულებლად განკუთვნილი მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები, რომელშიც ინსტრუმენტული მუსიკა შეხამებულია ვოკალურთან; 20. მეტრული მუსიკალური ერთეული; 22. სამგლოვიარო გუნდური სიმღერა-ტირილი; 23. ოპერა „დაისის" პერსონაჟი; 24. მზის ღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში; 25. წრის ან სხვა მრუდი ხაზის ნაწილი; 27. ფრანგი კომპოზიტორი; 29. ლითონის საყლარუნებელი; 31. სახალხო მომღერალი ყაზახეთში; 35. საქართველოს მდინარე; 36. ვენეციელი მენავეების სიმღერა; 37. მუსიკალური გამის მეცხრე საფეხური; 38. ნოეს ერთ-ერთი ძე ძველი აღთქმის მიხედვით; 39. მუსიკალური ნაწარმოების ნაწილი, მუსიკალური ფრაზა, რომელიც ხასიათდება ნოტების სწრაფი მონაცვლეობით; 42. შვეიცარიელი დირიჟორი.

**შვეულად:** 1. ბგერის ნახევარტონით დადაბლების ნიშანი; 2. სამი ან მეტი მუსიკალური ბგერის შეერთება; 3. ფრანგი კომპოზიტორი ოპერა „მანონ" ავტორი; 4. მომღერალთა და დამკვრელთაგან შემდგარი ანსამბლი; 6. ძლიერი აქცენტისათვის ხელების უეცარი დაძაბვა ფორტეპიანოზე დაკვრისას; 7. რიმსკი-კორსაკოვის ოპერა; 10. ჰიმნოგრაფიული ტერმინი, ქართული საგალობლის ხმა, მელოდია; 11. ქართველი მწერალი; 12. ჟანრი ევროპულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში, რომლისთვისაც დამახასიათებელია ბუნების წიაღში მწყემსების ცხოვრების იდილიური ასახვა; 14. ხეირნობა დასვენების მიზნით; 15. ხეზე შესრულებული ფერადი გრავიურის იაპონელი ოსტატი და ფერმწერი XIX ს.-ში; 19. გამომახილი, ნახმევი; 21. მაგარი ქანი; 24. არგონავტების თქმულების ერთ-ერთი გმირი; 26. ნაყოფიერებისა და დედობის მფარველი ქალღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში; 28. დალესტნური მუსიკალური საკრავი; 30. იტალიელი კომპოზიტორი; 32. სასიგნალო და სარეკლამო გასანათებელი ხელსაწყოების გასავსებად გამოსაყენებელი ქიმიური ელემენტი; 33. მრავალხმიანი მუსიკალური ნაწარმოების ნაწილი, რომელიც ერთი მომღერლის მიერ ან ერთი საკრავით სრულდება; 34. ხახელმოხვეჭილი ქართველი მესტვირეების გვარი XVIII-XIX სს-ში.

შეადგინა ციალა ამაშუკელმა.

## „დროშა" № 1-2-3-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 1. დიზაინი; 4. სპაგეტი; 9. ტორეადორი; 10. ბარი; 12. ალოე; 14. იჯარა; 15. ზამში; 17. ხავსი; 18. ეშმაკი; 19. ფერერო; 23. „დაისი". 24. ამური; 25. ბამბა; 27. ბაია; 29. დიდი; 30. მერიდიანი; 31. ინტალიო; 32. ნარინჯი.

**შვეულად:** 1. დარბაზი; 2. აუტი; 3. ნარდი; 5. პროზა; 6. გოია; 7. იმპერია; 8. კარავი; 11. რამიშვილი; 13. ლივერპული; 16. ირანი; 17. ხურმა; 20. ადაბაში; 21. პომადა; 22. სიმინდი; 25. ბურთი; 26. ამალა; 28. ამგა; 29. დიდი.

**გარეკანის პირველ გვერდზე: ანსამბლ „იმედის" სოლისტები: ნათია ლორთქიფანიძე, ქეთევან ღონიაშვილი, თეკლა გობეჯიშვილი; მეოთხე გვერდზე: რეპეტიციაზე.**

გადაეცა წარმოებას 25.01.94. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.06.94. ქაღალდის ზომა 60×90 1/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 4. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 5,6. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69.

ტირაჟი 7 000. შეკვეთა 97. ფასი 40 000 კუპონი.

Ежемесячный независимый общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке). 390096, Тбилиси, ул. Костава, 14. Типография газетно-журнального издательства «Самшобло». Адрес редакции: 380008 Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარის — 99-84-88; პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებათა გამგეების — 93-28-42; რედაქციის სამდივნო — 99-01-8[illegible].

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ





ანსამბლ „იმედის“ ქორეოგრაფები ჯემალ რეხვიაშვილი და ნუნუ დვინერია რეპეტიციაზე.



